

ბიულეტენი #39

საქართველოს ეთნომუსიკალური ცხოვრება

ეთნომუსიკოლოგთა შემოქმედებით ჯგუფ „ნანინას“ ბრიტანული ტურნე

უცხოელები ქართული ტრადიციული მუსიკის შესახებ

ფრანკ კეინი – 43 წლიანი შთაგონება ქართული სიმღერისაგან

ქართული ტრადიციული საკრავების მოამაგები

ბოლო მესოინარე – ვარდენ მეფარიშვილი

ერთი ახალი გამოცემა

ინოვაციური კრებული – „სიმღერები ანსამბლ „ნანინას“ რეპერტუარიდან“

ქართული ხალხური სიმღერა დიდ ბრიტანეთში

მესხური საარქივო მასალის საშემსრულებლო პრაქტიკაში დაბრუნება

ერთი რეგიონული ანსამბლი

ფოლკლორული ანსამბლი „მზეშინა“ თელავიდან

პოდკასტი „წინაპართა ხმები“: ქალთა ქართული სიმღერის არქივი

ეთნოგრაფიული წერილები

აპოლონ წულაძე – გალობა, ღიღინი, კრიმანჭული, სიმღერა

ბატონების ტრადიცია მესხეთში

სიმღერა „ბატონების მამიდასა“

ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის
ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრი

დეკემბერი, 2025

თბილისი

საქართველოს ეთნომუსიკალური ცხოვრება

(ივლისი-დეკემბერი, 2025)

ფესტივალები, კონფერენციები, კონკურსები

25-27.07.2025 – თბილისის ეთნოგრაფიულ მუზეუმში ღია ცის ქვეშ ფესტივალი „არტ გენი“ გაიმართა.

28.09.2025 – კასპში ქართლური ტრადიციული სიმღერისა და გალობის ფესტივალი გაიმართა.

12-14.10.2025 – თბილისში საქართველოს ბავშვთა და ახალგაზრდული საგუნდო კოლექტივების IX ეროვნული კონკურსის მე-2 ტური გაიმართა.

25.10.2025 – ლეჩხუმში, სოფელ ქორენიშში ლეჩხუმური ტრადიციული სიმღერის ფესტივალი გაიმართა.

8.11.2025 – თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში საქართველოს ბავშვთა და ახალგაზრდული საგუნდო კოლექტივების IX ეროვნული კონკურსის გალა კონცერტი და დაჯილდოება გაიმართა.

24.11.2025 – თბილისში თბილისის ბავშვთა და ახალგაზრდული გუნდების ფოლკლორული ფესტივალი ჩატარდა.

კონცერტები, საღამოები, გამოფენები, იუბილეები...

1.07.2025 – ზუგდიდში მეგრული ფოლკლორის საღამო გაიმართა.

2.07.2025 – თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში ანსამბლ „დიდგორის“ სოლო კონცერტი გაიმართა.

2.07.2025 – ოზურგეთში ანსამბლების „ნაის“ და „რეხეულის“ ერთობლივი კონცერტი გაიმართა.

4.07.2025 – ოზურგეთის ფოლკლორის ცენტრში ბავშვთა ფოლკლორული ანსამბლების კონცერტი გაიმართა.

7.07.2025 – ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრში გალობის უნივერსიტეტის სტუდენტების საანგარიშო კონცერტი გაიმართა.

14.07.2025 – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში ილიაუნის ხალხური სიმღერის სტუდენტური გუნდის საანგარიშო კონცერტი გაიმართა.

19.07.2025 – ოზურგეთში ანსამბლ „მარგალიტის“ კონცერტი გაიმართა.

30.07.2025 – ხულოს დრამატულ თეატრში ანსამბლმა „იალონმა“ ადგილობრივ ანსამბლებთან ერთად კონცერტი გამართა.

31.07.2025 – ზუგდიდში ტრადიციული მუსიკის საღამო გაიმართა.

10.08.2025 – ოზურგეთის დრამატულ თეატრში ანზორ ერქომაიშვილის 85 წლის იუბილესადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა.

16.08.2025 – მესტიაში ანსამბლ „მარგალიტის“ კონცერტი გაიმართა.

7.09.2025 – ამბროლაურში ანსამბლ „მარგალიტის“ კონცერტი გაიმართა.

13.09.2025 – ჩუენეში, ნიკო ლორთქიფანიძის სახლ-მუზეუმში ანსამბლ „დიდგორის“ კონცერტი გაიმართა.

14.09.2025 – დიდ ჯიხაიშში, ნიკო ნიკოლაძის სახლ-მუზეუმში ანსამბლ „დიდგორის“ კონცერტი გაიმართა.

24.09.2025 – ოზურგეთის ფოლკლორის ცენტრში ანსამბლ „იალონის“ კონცერტი გაიმართა.

25.09.2025 – ბათუმის სახელმწიფო მუსიკალურ ცენტრში ანსამბლ „რუსთავის“ კონცერტი გაიმართა.

27.09.2025 – არგვეთში, მუხრან მაჭავარიანის სახლ-მუზეუმში ანსამბლ „დიდგორის“ კონცერტი გაიმართა.

28.09.2025 – ქუთაისში ანსამბლ „დიდგორის“ კონცერტი გაიმართა.

30.09.2025 – ლენტეხში ანსამბლ „სათანაოს“ სოლო კონცერტი გაიმართა.

7.10.2025 – ფოლკლორის ცენტრის გალერეაში ანსამბლ „დიდგორისა“ და ფინელი მუსიკოსების ერთობლივი კონცერტი გაიმართა.

9.10.2025 – ზუგდიდში ანსამბლ „სათანაოს“ სოლო კონცერტი გაიმართა.

10.10.2025 – სოფელ მატნის კულტურის სახლში ქართულ-ფინური მუსიკის საღამო გაიმართა.

12.10.2025 – ახმეტაში ანსამბლ „მარგალიტის“ კონცერტი გაიმართა.

14.10.2025 – ქალაქ რუსთავში ანსამბლ „რუსთავის“ სოლო კონცერტი გაიმართა.

22.10.2025 – ჯანსუღ კახიძის სახელობის თბილისის მუსიკალურ-კულტურულ ცენტრში ანზორ ერქომაიშვილის 85 წლისთავისადმი მიძღვნილი კონცერტი გაიმართა.

25.10.2025 – ზუგდიდში ანსამბლ „იალონის“ კონცერტი გაიმართა, რომელშიც ადგილობრივი ანსამბლებიც მონაწილეობდნენ.

28.10.2025 – თბილისის ბაროკოს ფესტივალის ფარგლებში ჯანსუღ კახიძის სახელობის თბილისის მუსიკალურ-კულტურულ ცენტრში კონცერტი „ქართული და ევროპული ძველი მუსიკა“ გაიმართა.

1.11.2025 – ბათუმში გიორგი გარაყანიძის ფოლკლორული და სასულიერო მუსიკის ფესტივალის 20 წლის საიუბილეო კონცერტი გაიმართა.

3.11.2025 – ბათუმში ანსამბლ „სათანაოს“ სოლო კონცერტი გაიმართა.

3.11.2025 – ოზურგეთში ანსამბლ „რეხეულის“ სოლო კონცერტი გაიმართა.

12.11.2025 – სამების ტაძრის ახალგაზრდული ცენტრის დარბაზში გურგენ გურჩიანის შემოქმედებითი საღამო გაიმართა.

15.11.2025 – ჯანსუღ კახიძის სახელობის თბილისის მუსიკალურ-კულტურულ ცენტრში საქართველოს სალოტბარო სკოლების გალა კონცერტი გაიმართა.

16.11.2025 – გორში ანსამბლ „მარგალიტის“ კონცერტი გაიმართა.

15.12.2025 – კასპის ომარ კელაპტრიშვილის სახელობის კულტურის ცენტრში ფოლკლორის ცენტრის კასპის სალოტბარო სკოლის სოლო კონცერტი გაიმართა.

18.12.2025 – თბილისის ისტორიის მუზეუმში „ქარვასლა“ ანსამბლმა „იალონმა“ ჩაატარა ქალაქური მუსიკის კონცერტი სახელწოდებით „ერთი შორი ოცნება“.

19.12.2015 – ანზორ ერქომაიშვილის სახელობის საკონცერტო დარბაზში გაიმართა ანზორ ერქომაიშვილის სახელობის საქართველოს ხალხური სიმღერის ანსამბლ „მართვეს“ სოლო კონცერტი.

21.12.2026 – ჯანსუღ კახიძის სახელობის თბილისის მუსიკალურ-კულტურულ ცენტრში სახელმწიფო ანსამბლმა „ბასიანმა“ სოლო კონცერტი გამართა.

22.12.2025 – შოთა რუსთაველის დრამატური თეატრის მცირე დარბაზში ანსამბლ „მარგალიტის“ სოლო კონცერტი გაიმართა.

25.12.2025 – ბათუმის სახელმწიფო მუსიკალურ ცენტრში აჭარის კადემიურ ანსამბლ „არსიანის“ საანგარიშო კონცერტი გაიმართა.

28.12.2025 – ქარელის კულტურის სახლში გაიმართა ანსამბლ „დიდგორისა“ და ქარელის სალოტბარო სკოლის ერთობლივი კონცერტი.

ლექციები, შეხვედრები, მასტერკლასები, პრეზენტაციები და სხვ.

15-22.07.2025 – ეთნომუსიკოლოგმა ნინო ნანეიშვილმა ბელგიაში ქართული ხალხური მუსიკის მასტერკლასები ჩაატარა.

23-25.07.2025 – ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრში აჭარული ცეკვის მასტერკლასები გაიმართა.

27.07-4.08.2025 – ეთნომუსიკოლოგთა შემოქმედებით ჯგუფ „ნანინას“ სამი წევრი მიწვეული იყო ფინეთის დედაქალაქ ჰელსინკში ქართული ხალხური სიმღერის მასტერკლასებისა და კონცერტების ჩასატარებლად.

30.07-12.08.2025 – კანადელებისა და ავსტრალიელების ჯგუფს ლევან ბითაროვის ხელმძღვანელობით ქართული ტრადიციული მუსიკის მასტერკლასები ჩაუტარეს დებმა ჩამგელიანებმა (ლახუშდში), ბესო თურმანიძემ (მერისში) და ავთო თურქიამ (ლანჩხუთში).

1-14.08.2025 – ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ბუკისციხეში ეთნომუსიკოლოგმა მალხაზ ერქვანიძემ ბრიტანელებისა და ირლანდიელებისათვის ქართული ტრადიციული მუსიკის მასტერკლასები ჩაატარა.

29.08.-7.09.2025 – ლევან ბითაროვის საავტორო ტურის ფარგლებში უცხოელ სტუმრებს მასტერკლასები ჩაუტარეს ლევან ბითაროვმა, დებმა ჩამგელიანებმა და ავთო თურქიამ.

9-24.09.2025 – გერმანელების, ბრიტანელებისა და ამერიკელების ჯგუფს ლევან ბითაროვის ხელმძღვანელობით ქართული ტრადიციული მუსიკის მასტერკლასები ჩაუტარეს დებმა ჩამგელიანებმა (ლახუშდში), ბესო თურმანიძემ (მერისში) და ავთო თურქიამ (ლანჩხუთში).

16.09.2025 – ოზურგეთის ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრში ელექტრონული ჟურნალის „ქართული ფოლკლორი“, არქივის კატალოგისა და ფოლკლორის ცენტრის მიერ გამოცემული, ნათარგმნი წიგნების პრეზენტაცია გაიმართა.

30.09.2025 – ანზორ ერქომაიშვილის სახელობის ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრში ფოლკლორის ცენტრის ორენოვანი წიგნების პრეზენტაცია გაიმართა.

30.09.2025 – ზუგდიდში ანსამბლ „ართგურის“ პროექტის – „ქართული გალობის საგანმანათლებლო პროექტი ზუგდიდში – ტრადიციის მხარდაჭერის მნიშვნელოვანი მაგალითი“ პრეზენტაცია გაიმართა.

4-12.10.2025 – ლოტბარმა თორნიკე სხიერელმა გერმანიის რამდენიმე ქალაქში ქართული ტრადიციული მუსიკის მასტერკლასები ჩაატარა.

11.10-30.11.2025 – ეთნომუსიკოლოგმა ნანა მჭავანაძემ ქართული ტრადიციული მუსიკის მასტერკლასები ჩაატარა ქალაქებში: ლიუვენი, ლიეჟი, ანტვერპენი (ბელგია), პარიზი (საფრანგეთი).

18.11.2025 – რუსთაველის თეატრში ანზორ ერქომაიშვილის ცხოვრებაზე გადაღებული მხატვრული ფილმის „შავი შაშვი ჩიოდა“ პრემიერა გაიმართა.

4.12.2025 – ბათუმის დრამატულ თეატრში ანთოლოგიის „საქართველო – ისტორია, კულტურა, ეთნოგრაფია“ პრეზენტაცია გაიმართა.

12.12.2026 – თბილისის ახალგაზრდობის ეროვნული სასახლეში ტრისტან სიხარულიძის მონოგრაფიის პრეზენტაცია გაიმართა.

გასტროლები

9-13.07.2025 – ანსამბლი „დიდგორი“ საგასტროლოდ იმყოფებოდა ფინეთში.

20-27.07.2025 – ანსამბლმა „შავნაზადაძე“ ევროპის რამდენიმე ქალაქში კონცერტები გამართა.

31.07.2025 – ანსამბლი „რუსთავი“ საგასტროლოდ იმყოფებოდა გერმანიის ქალაქ ელმშორში.

17-25.08.2025 – აჭარის სახელმწიფო ანსამბლი „არსიანი“ საგასტროლოდ იმყოფებოდა ბულგარეთში.

3-6.09.2025 – აჭარის სახელმწიფო ანსამბლი „არსიანი“ საგასტროლოდ იმყოფებოდა თურქეთში.

9.09.2025 – ანსამბლმა „რუსთავმა“ ლონდონში კონცერტი გამართა.

10-24.09.2025 – ეთნომუსიკოლოგთა შემოქმედებითი ჯგუფი „ნანინა“ საგასტროლოდ იმყოფებოდა დიდი ბრიტანეთის ქალაქებში, სადაც ქართული ტრადიციული მუსიკის კონცერტები და მასტერკლასები ჩაატარა.

12.09.2025 – ანსამბლებმა „რუსთავმა“ და „ნანინამ“ ლონდონში ერთობლივი კონცერტი გამართეს.

14.09.2025 – ანსამბლი „რუსთავი“ საგასტროლოდ იმყოფებოდა პოლონეთის ქალაქ ბიდგომში.

19-21.09.2025 – გალობის უნივერსიტეტის სტუდენტურმა გუნდმა იტალიაში, სან პაოლო ალბანესეში ფესტივალ „Antiche Radici“-ში მიიღო მონაწილეობა.

26.09.2025 – თურქეთის დედაქალაქ ანკარაში ანსამბლ „ერისიონის“ სოლო კონცერტი გაიმართა.

17-19.10.2025 – ანსამბლი „მარგალეფი“ საგასტროლოდ იმყოფებოდა გერმანიის ქალაქ შტუტგარდში.

17-21.10.2025 – ანსამბლმა „დიდგორმა“ მონაწილეობა მიიღო არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის პეკინის მეორე საერთაშორისო კვირეულში.

30.10-13.11.2025 – ანსამბლმა „ბასიანმა“ ქალაქ სამარყანდში UNESCO-ს გენერალური კონფერენციის 43-ე სესიაში მიიღო მონაწილეობა.

5-9.11.2025 – ოზურგეთის კულტურის ცენტრის ფოლკლორულმა ჯგუფმა, ტრისტან სიხარულიძის ხელმძღვანელობით, ლიეტუვაში საერთაშორისო ფოლკლორულ ფესტივალში მიიღო მონაწილეობა.

5-10.11.2025 – ანსამბლმა „რუსთავმა“ ჩინეთის ქალაქ შანხაიში კონცერტები გამართა.

6-18.11.2025 – ანსამბლი „მარგალეფი“ საგასტროლოდ იმყოფებოდა ლატვიაში, ლიეტუვასა და ესტონეთში.

6.12.2025 – ანსამბლმა „შავნაზადაძე“ ბარსელონაში კონცერტი გამართა.

14-17.11.2025 – „ახალი ბანას გუნდი“ საგასტროლოდ იმყოფებოდა ჩეხეთში.

23-25.11.2025 – სამების საპატრიარქო ტაძრის მგალობელთა გუნდი საგასტროლოდ იმყოფებოდა იტალიაში.

ექსპედიციები

1-2.07.2025 – ეთნომუსიკოლოგი გიორგი კრავეიშვილი ექსპედიციით იმყოფებოდა სოფელ სარფში.

6-7.07.2025 – ეთნომუსიკოლოგი მაია გელაშვილი ექსპედიციით იმყოფებოდა შუახევის მუნიციპალიტეტში.

14-21.07.2025 – სანდრო ნათაძე ექსპედიციით იმყოფებოდა კახეთის სოფლებში.

20-31.07.2025 – ეთნომუსიკოლოგი გიორგი კრავეიშვილი ექსპედიციით იმყოფებოდა ჩოხატაურის, ოზურგეთის, ლანჩხუთისა და ცაგერის მუნიციპალიტეტების სოფლებში.

28-30.07.2025 – ანსამბლი „ილონი“ ექსპედიციით იმყოფებოდა ზემო აჭარაში.

11-15.08.2025 – სანდრო ნათაძე ექსპედიციით იმყოფებოდა მცხეთა-მთიანეთის სოფლებში.

12-15.08.2025 – ეთნომუსიკოლოგი გიორგი კრავეიშვილი ექსპედიციით იმყოფებოდა სოფელ სარფში.

19-22.08.2025 – სანდრო ნათაძე ექსპედიციით იმყოფებოდა იმერეთის სოფლებში.


23-25.09.2025 – ანსამბლი „ილონი“ ექსპედიციით იმყოფებოდა გურიაში.

12.10.2025 – გალობის უნივერსიტეტის სტუდენტები ექსპედიციით იმყოფებოდნენ კახეთში.

24-26.10.2025 – ანსამბლი „ილონი“ ექსპედიციით იმყოფებოდა სამეგრელოში.


გამოცემები

შოთა რუსთაველის ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა
გამოსცა მონოგრაფია „თურქეთში, ირანსა და
აზერბაიჯანში მცხოვრები ქართველებისა და
აფხაზების მუსიკალურ-ქორეოგრაფიული ფოლკლორი“



ანსამბლმა „ართგურმა“ „ქართული გალობის შემსწავლელი
აუდიოჩანაწერებისა და სანოტო ბროშურა“ გამოსცა


ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრმა გამოსცა
ტიმოთი რაისის წიგნი
„ეთნომუსიკოლოგია – ძალიან მოკლე შესავალი“





ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრმა გამოსცა
ფილიპ ვ. ბოლმანის წიგნი
„მსოფლიო მუსიკა – ძალიან მოკლე შესავალი“

ეთნომუსიკოლოგთა შემოქმედებითმა ჯგუფმა „ნანინამ“ გამოსცა
სასწავლო დანიშნულების სანოტო კრებული „სიმღერები ანსამბლ
„ნანინას“ რეპერტუარიდან“



საქველმოქმედო ფონდმა „ქართულმა გალობამ“ გურული
ხალხური სიმღერების შემსრულებლისა და ლოტბარის,
ტრისტან სიხარულიძის მონოგრაფია გამოსცა

მოამზადა სოფიკო კოტრიკაძემ

ეთნომუსიკოლოგთა შემოქმედებით ჯგუფ „ნანინას“ ბრიტანული ტურნე

2025 წლის 10-24 სექტემბერს, ეთნომუსიკოლოგთა შემოქმედებითი ჯგუფი „ნანინა“, სპეციალური მიწვევით, იმყოფებოდა დიდ ბრიტანეთში, სადაც, ინგლისისა და შოტლანდიის სხვადასხვა ქალაქში, ქართული ხალხური სიმღერის მასტერკლასები და კონცერტები ჩაატარა.

ეს ორკვირიანი მოგზაურობა ემოციურად დატვირთულ კულტურულ შეხვედრად იქცა, რომელმაც კიდევ ერთხელ დაგვანახა, რამდენად დიდია ქართული ხალხური მუსიკის სიყვარული ბრიტანეთში.

ტურნეს მიზანი იყო საქართველოს მრავალფეროვანი ტრადიციული მუსიკის გაცნობა ადგილობრივი აუდიტორიისათვის და იმ ხიდის გაბმა, რასაც კულტურათაშორისი კავშირი ჰქვია. ორი კვირის განმავლობაში, ჩვენს ჯგუფს შესაძლებლობა მიეცა, გაეზიარებინა ქართული ტრადიციული მუსიკის უნიკალური სამყარო და ამასთანავე, დაკვირვებოდა დასავლურ ეთნომუსიკოლოგიურ სივრცეში არსებულ ხედვებსა და მათი სწავლების მეთოდებს.

„ნანინას“ ბრიტანული ტურნე ორგანიზებული იყო ბრისტოლის კულტურული ცენტრის, **Pitchblend**-ის დამფუძნებლის, ნილ მაკკეის მიერ. ცენტრის მთავარი მიზანი სხვადასხვა ქვეყნის კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზებაა თანამედროვე ბრიტანულ სივრცეში.

ჩვენი ძირითადი მასპინძლები იყვნენ ქართული ხალხური სიმღერის შემსრულებელი

ბრიტანული ანსამბლები: „მასპინძელი“ ლონდონიდან (ხელმძღვანელი ბერნარდ ბერნსი, „ფერები“ ოქსფორდიდან (ხელმძღვანელი ჰოლი ტეილორ-ზანცი), „ბედნიერი“ ბირმინგემიდან (ხელმძღვანელი ებ ჯორდანი) და „ჩვენი ხმები“ ლანკასტერიდან (ხელმძღვანელი ბეთ დე ლანჟი). ანსამბლების ქართული სახელწოდებები და მათ რეპერტუარში ქართული ტრადიციული სიმღერების სიუხვე უკვე მეტყველებს ბრიტანული საზოგადოების დამოკიდებულებაზე ქართული კულტურის მიმართ. უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად ამ ანსამბლების საკმაოდ მდიდარი სასიმღერო გამოცდილებისა, „ნანინას“ რეპერტუარი, რომელიც ტრადიციული სიმღერების უცხო ვარიანტების სიმრავლით გამოირჩევა, შესრულების ფორმითა და მანერით კი ავთენტურ შესრულებასთან მაქსიმალურად მიახლოებულია, მათი განსაკუთრებული ინტერესის საგნად იქცა.

ტურნეს ფარგლებში ქართული ტრადიციული მუსიკის 18 მასტერკლასი და 9 კონცერტი გაიმართა ინგლისისა და შოტლანდიის სხვადასხვა ქალაქში, კერძოდ:

ლონდონში, ოქსფორდში, ბირმინგემში, ბრისტოლში, სტრაუდში, მანჩესტერში, კრედიტონში, ლანკასტერსა და გლაზგოში. მათ შორის ლონდონში ჩავატარეთ ერთობლივი კონცერტი საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლ „რუსთავთან“ ერთად.

ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ქართული მუსიკალური ფოლკლორისადმი ინგლისელი და შოტლანდიელი მსმენელის დამოკიდებულება, რაც მრავალწლიანი მეგობრობისა და შემოქმედებითი თანამშრომლობის ნაყოფად უნდა ჩაითვალოს.

ბრიტანეთთან საქართველოს ასეთი ურთიერთობა გასული საუკუნის 90-იან წლებში დაიწყო, როდესაც ეთნომუსიკოლოგები ედიშერ გარაყანიძე და იოსებ ჟორდანიას პირველად მიიწვიეს მასტერკლასების ჩასატარებლად. მას შემდეგ, ედიშერ გარაყანიძე რეგულარულად სტუმრობდა დიდ ბრიტანეთს ამ მიზნით. სწორედ მაშინ ჩაეყარა საფუძველი იმ კულტურულ ურთიერთობას, რომელიც დღესაც აგრძელებს სიცოცხლეს ახალი თაობის მუსიკოსების წყალობით.



სამი წლის წინ, ნილ მაკკეის ინიციატივით, დაარსდა ტადიციული მუსიკის ფესტივალი „წუთისოფელი“, რომელიც ყოველ წელს ბრიტანეთის სხვადასხვა ქალაქში იმართება. ფესტივალის მიზანია კულტურათაშორისი დიალოგი, მუსიკისა და ხალხური ტრადიციების გაზიარების გზით. წელს ფესტივალში, „ნანინასთან“ ერთად, მონაწილეობდა ზემოთ აღნიშნული ოთხივე ბრიტანული ანსამბლი: „მასპინძელი“, „ფერები“, „ბედნიერი“ და „ჩვენი ხმები“. სწორედ ფესტივალი „წუთისოფელი“ იყო მთელი ტურნეს კულმინაცია, სადაც, ჩვენ გარდა, ადგილობრივი ანსამბლების ხელმძღვანელებმაც ჩაატარეს მასტერკლასი, შეასრულეს როგორც ედიშერის მიერ ნასწავლი, ისე - საქართველოში მოგზაურობის დროს შესწავლილი სიმღერები... ფესტივალის დასასრულს კი, ნილ მაკკეის დიდი ძალიხმევით, გაიშალა სადღესასწაული სუფრა ქართული კერძებითა და ღვინით. მას უძღვებოდა ინგლისელი თამადა – ბეთ დე ლანჟი – ქართული ტრადიციული სადღეგრძელოებით. სუფრას ამშვენებდა „ნანინასა“ და ბრიტანელი მასპინძლების მიერ შესრულებული ქართული ქალაქური და ხალხური სიმღერები.

ამ მოგზაურობამ კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ ქართული ტრადიციული მუსიკა არა მხოლოდ წარსულის მემკვიდრეობაა, არამედ ცოცხალი და ქმედითი ორგანიზმია, რომელიც მუდმივად ვითარდება ურთიერთობის, დაკვირვებისა და ახალი კონტაქტების გზით, რომ ტრადიციული მუსიკა უნიკალური ფენომენია, რომელსაც ძალუძს სრულიად განსხვავებული კულტურის მატარებელი ხალხების დაახლოება და დამეგობრება. განსაკუთრებით სასიხარულოა,

რომ წარმატებულმა ტურნემ „ნანინას“ მომავლის საინტერესო პერსპექტივებიც დაუსახა, რაც, იმედი გვაქვს, მრავალ ასპექტში რეალიზდება.

განსაკუთრებული მადლიერებით აღვნიშნავთ ჩვენი ტურნეს ორგანიზატორის, ნილ მაკკეის, თანადგომას. ასევე მადლოვრებას გამოვხატავთ იმ ადამიანების მიმართ, ვინც გულწრფელი ინტერესით მოისმინა და შეისწავლა ქართული ხალხური სიმღერები და ჩვენ დაგვინახა როგორც ამ ტრადიციის ცოცხალი მატარებლები.

მაია გელაშვილი

ეთნომუსიკოლოგი, ჯგუფ „ნანინას“ თანადამფუძნებელი

უცხოელები ქართული ტრადიციული მუსიკის შესახებ

43 წლიანი შთაგონება ქართული სიმღერისაგან

ქართული სიმღერები პირველად აშშ-ში, 1982 წლის სექტემბერში, სტუდენტობისას მოვისმინე. მიუხედავად იმისა, რომ ბავშვობიდან და მოზარდობიდან მუსიკის მოყვარული ვიყავი, ქართული სიმღერის მოსმენისას სრულიად ახალი შეგრძნება დამეუფლა. მან ღრმად შემძრა და ცნობის წადილი გამიღვივა. იმდროინდელი „მელოდიის“ ფირფიტების მოსმენისას, ქართული სიმღერის მრავალფეროვნებამ და ძალამ მომხიბლა.

1984 წლის ივნისში, საქართველოში ჩემი პირველი ვიზიტის დროს, დავესწარი გუნდების – „თბილისის“, „რუსთავის“ და სახელმწიფო ანსამბლის კონცერტებსა და რეპეტიციებს. იქ გატარებულმა დრომ უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე. ნიუ-იორკში, სახლში დაბრუნებულმა, გადაწყვეტილება მივიღე, რომ ყველაფერი გამეკეთებინა ქართული სიმღერების შესასწავლად და მათი არსის გასაგებად. გამიმართლა იმაში, რომ ვიცნობდი უაღრესად ნიჭიერ მუსიკოსებს, რომლებმაც ჩემი გატაცება გაიზიარეს. აშშ-ში დავაარსეთ „ქართული ანსამბლი“. სინამდვილეში, ეს იყო მომღერლების „გაბნეული თანავარსკვლავედი“, რომლის ბირთვი ნიუ-იორკში, ბოსტონში, მინეაპოლისში და ზოგჯერ სხვაგანაც იყო. სხვადასხვა ჯგუფი სწავლობდა ქართულ სიმღერებს და მართავდა კონცერტებს.

ვიცოდი, რომ სიმღერების უკეთ გასაგებად ქართული ენის შესწავლა მომიწევდა. ვიმედოვნებდი, რომ ერთ დღესაც, ქართველ მომღერლებთან საუბარს და მათი მუსიკის შესახებ მეტის გაგებას შევძლებდი. 1985 წელს, როდესაც საქართველო ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის ნაწილი იყო და ამერიკის მოქალაქეებისთვის იქ მოგზაურობა ადვილი არ იყო, ეს დიდ გამოწვევად მეჩვენებოდა.

1986 წლის ზაფხულში ჩიკაგოს უნივერსიტეტში დაიწყო ქართული ენის ინტენსიური კურსი, რომელსაც მასწავლებლები ჰოვარდ არონსონი და დოდონა კიზირია უძღვებოდნენ. იმედგაცრუებული დავრჩი, როდესაც გავიგე, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში ქართული ენის შესწავლის შემდგომი კურსები არ არსებობდა. როდესაც დავინტერესდი, გავიგე, რომ საფრანგეთის

დედაქალაქ პარიზში მდებარე აღმოსავლური ენებისა და ცივილიზაციების ინსტიტუტი (INALCO) ქართული ენის შესწავლის სამწლიან პროგრამას გვთავაზობდა (ლექტორები: გიორგი შარაშიძე, დომინიკ ელიგულაშვილი და ლია ნეში). 1988 წლის სექტემბერში პარიზში გადავედი



საცხოვრებლად და ამ პროგრამაში ჩავერთე. პარიზში შევხვდი აგრეთვე ქართველ მომღერლებსაც და ანსამბლ „მერანის“ შემადგენლობაში მათთან ერთად კონცერტებზე სიმღერა დავიწყე.

1990 წლის დასაწყისში საქართველოს კულტურის სამინისტროდან დამიკავშირდნენ და შემომთავაზეს, რომ ივნისის თვეში „ქართული ანსამბლი“ საქართველოში მუსიკალურ ფესტივალზე ჩამოსულიყო. მიუხედავად იმისა, რომ უკვე საფრანგეთში ვცხოვრობდი, მოვახერხე ამ მოგზაურობის ორგანიზება შეერთებულ შტატებში მცხოვრებ მომღერლებთან ერთად. საქართველოში დაახლოებით ორი კვირა გავატარეთ. კონცერტებით მოვიარეთ, ძირითადად, იმერეთის ქალაქები: ქუთაისი, ვანი, წყალტუბო, სამტრედია და სხვ. ძნელი იქნება ყველა იმ შესანიშნავი ჯგუფისა თუ მომღერლის ჩამოთვლა, რომლებსაც შევხვდით. მათ შორის, აღსანიშნავია, ანსამბლები: „სანავარდო“, „გურია“ და „ლილე“. ტურის უმეტეს ნაწილში, ჩვენთან ერთად მოგზაურობდა ედიშერ გარაყანიძე,

რომელსაც სწორედ იქ დავუმეგობრდით.

1993 წელს, პარიზში დავაარსე ანსამბლი „მარანი“. თავდაპირველად, ჯგუფის წევრების უმეტესობა არაქართველი იყო და ქართულ მუსიკასთანაც არანაირი შეხება არ ჰქონდათ. თანდათანობით, ჯგუფს უფრო და უფრო მეტი ნიჭიერი მომღერალი შემოუერთდა და დავიწყეთ კონცერტების ჩატარება პარიზსა და საფრანგეთის სხვადასხვა ადგილებში. „მარანი“ საქართველოს პირველად 1996 და 1997 წლებში ეწვია. ჩვენ ვიმოგზაურეთ კახეთსა და გურიაში და სხვადასხვა მომღერლებისაგან (ლევან აბაშიძე, აჩიკო მედოლიშვილი, ტრისტან სიხარულიძე და ა.შ.) ქართული ხალხური სიმღერები შევისწავლეთ. „მარანმა“, ასევე, დაიწყო პარიზში ქართველი მომღერლების მოწვევა ანსამბლთან სამუშაოდ, საჯარო სემინარების ჩასატარებლად და ჩვენთან ერთად, კონცერტებში მონაწილეობის მისაღებად. ჩვენი პირველი სტუმარი, 1996 წელს, ტრისტან სიხარულიძე იყო. მოგვიანებით, მოვიწვიეთ ისლამ ფილფანი, მალხაზ ერქვანიძე, პოლიკარპე ხუბულავა და ანდრო სიმაშვილი.

1997 წელს, პარიზში შევექმენი ქალთა ანსამბლი „ირინოლა“. ჯგუფმა მონაწილეობა მიიღო ტრადიციული მრავალხმიანობის პირველ საერთაშორისო სიმპოზიუმში, თბილისში, 2002 წელს. კონცერტზე მოსული ადამიანები აღფრთოვანებული იყვნენ „მარანისა“ და „ირინოლას“ სიმღერით. უცხოელებმა დაიწყეს ჩემი მიწვევა, რათა მესწავლებინა მათთვის ქართული სიმღერები და ამეხსნა, თუ როგორ უნდა შეესრულებინათ ისინი.

გავაცნობიერე, რომ სწავლება უფრო მომწონდა, ვიდრე კონცერტებზე მღერა ან ჯგუფების სცენაზე სასიმღეროდ მომზადება, ამიტომაც, საბოლოოდ, შევწყვიტე „მარანისა“ და „ირინოლას“ ხელმძღვანელობა და გადავწყვიტე, რომ ჩემი დროის უმეტესი ნაწილი სიმღერების სწავლებისათვის დამეთმო.

თავიდან, ჩემი ვორკშოფები, ძირითადად, ქართული სიმღერების სწავლებით შემოიფარგლებოდა. 1998 წელს, ედიშერ გარაყანიძის გარდაცვალების შემდეგ, მისი ზოგიერთი მოსწავლე დიდ ბრიტანეთში ჯგუფებს ხელმძღვანელობდა და ვორკშოფებს ატარებდა, თუმცა, ევროპის კონტინენტზე, თითქმის არავინ ასწავლიდა ქართულ სიმღერებს. პირველი ვორკშოფები საფრანგეთში (1994), დიდ ბრიტანეთსა (2002, 2003) და გერმანიაში (2005) ჩავატარე. დროთა განმავლობაში, ყურადღება ქართული ხალხური სიმღერების შესრულების სწავლებაზე გადავიტანე. ქართველ მომღერლებს ხმის, ბგერისა და ვიბრაციის გამოყენების შესანიშნავი ჩვევები აქვთ, აგრეთვე იმისა, თუ როგორ ხვდება ერთმანეთს ადამიანების ხმების ვიბრაციები ერთად მღერის დროს. ჩემი მუშაობა სწორედ ამითაა შთაგონებული და მასზეა აგებული. ჩემს ვორკშოფებზე, რაც უფრო მეტად ვამახვილებდი ყურადღებას ქართული მუსიკის შესრულების პრინციპებზე, მით უფრო ვხვდებოდი, რომ ეს პრინციპები ძალიან სასარგებლოა სხვა სახის მუსიკის შესასრულებლად. ჩემს ვორკშოფებზე ადამიანები მოდიოდნენ არა მხოლოდ ქართული სიმღერების შესასწავლად, არამედ იმ მეთოდების გასაცნობად, რომლებსაც მე ვიყენებ.

ეს არის ჩემი დღევანდელი მუშაობის არსი. მაგალითად, საფრანგეთში ჩემს ვორკშოფებზე დამსწრეთაგან ბევრი მონაწილეობს აქ მიმდინარე ოქსიტანური ტრადიციული სიმღერის აღორძინებაშიც. ქართულ ხალხურ მუსიკაში ისინი პოულობენ არა მხოლოდ მათი სიმღერის სტილთან თავსებად ვოკალურ ტექნიკას, არამედ ერთად ყოფნისა და ერთობის ფასსაც, რაც, თავად ქართველი მომღერლების თქმით, ჭეშმარიტად ქართული მუსიკის არსს წარმოადგენს.

მოხარული ვარ, რომ ჩემმა სემინარებმა ბევრი ადამიანი შთააგონა, ემოგზაურათ საქართველოში, თავად აღმოეჩინათ ეს ქვეყანა, ემუშავათ ქართველ მომღერლებთან და ჩამოეყალიბებინათ ჯგუფები, რომლებიც ევროპის მრავალ ადგილას მღერიან ქართულ სიმღერებს. ვიმედოვნებ, რომ ეს მოკრძალებული წვლილი ასახავს იმ უზარმაზარ კეთილშობილებას, რომელიც ქართველებმა გამოიჩინეს მთელი ჩემი ზრდასრული ცხოვრების განმავლობაში, როდესაც მათი მუსიკისა და კულტურის უკეთ გაგებას ვცდილობდი.

ფოტო: ფრანკ კეინი ეთნოფორ ანდრო სიმაშვილთან ერთად. გადაღებულია ჯეფ ბარტონის მიერ, 2002 წელს

ფრანკ კეინი
სიმღერის პედაგოგი

ბოლო მესოინარე – ვარდენ მეფარიშვილი
(1877-1969)

მეფარიშვილები ცნობილი მესოინარეები ყოფილან და თაობების განმავლობაში საუკეთესო შემსრულებლები ჰყოლიათ. ვარდენ მეფარიშვილი კი მესოინარეების ერთ-ერთი ბოლო წარმომადგენელი გახლდათ. გურულ სოინარზე დასაკრავი დღემდე შემორჩენილი მელოდიები სწორედ მისგან ვიცით.

ვალენტინა სტეშენკო-კუფტინა, 1936 წელს გამოცემულ წიგნში „ქართული ხალხური მუსიკის უძველესი ინსტრუმენტული საფუძვლები“ (ნაწილი I – პანის ფლეიტა), წერს: „მრავალღეროიანი სალამურის – გურული სოინარის – საგვარეულო კერების უკანასკნელი წარმომადგენლები სულ ახლახანს გარდაიცვალნენ, ზოგიერთი მათგანი კი კვლავაც ცოცხალია და აგრძელებს ამ საგვარეულო ტრადიციას. სოინარის მემკვიდრეობითი კულტურა შეინარჩუნეს: იოსებ და კარპე კიკვაძეებმა (უკვე გარდაცვლილნი); ლევან ბერძენიშვილმა (ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ოსტატი, რომელიც ცოტა ხნის წინ გარდაიცვალა) და ვლადიმერ ბერძენიშვილმა (ჯერ კიდევ ცოცხალია, მაგრამ მიტოვებული აქვს ეს საქმე); ივანე და ეფრემ მეფარიშვილებმა (ვარდენის მამამ და ბაბუამ); სარდიონ და ტიტო სიხარულიძეებმა (ამ უკანასკნელმა საქართველოს მუზეუმისთვის ორი სოინარი გააკეთა); ივანე და ივაკი შათირიშვილებმა (ორივე ცხოვრობს სურების მთებში, მათ გადმოგვცეს ორი სოინარი)“.

ვარდენ მეფარიშვილი სახელოვანი მესოინარის, ივანეს შვილიშვილი იყო; მამა – ეფრემი ადრე გარდაიცვალა, ხოლო მამობა ბაბუამ გაუწია. სწორედ ბაბუისაგან უსწავლია ვარდენს სოინარის დამზადება და მასზე დაკვრაც. როგორც თავად იხსენებდა, ბაბუასა და მამას მთელი ღამის განმავლობაში სცოდნიათ სოინარის თანხლებით ლექსაობა, რომელსაც სტროფებს შორის, პაუზებში უკრავდნენ.



1931 წელს, შალვა მშველიძე ჩოხატაურის რაიონის სოფელ წიფნარს (კოხნარის თემი) ეწვია. მკვლევარმა ვარდენის პატარა, დიდ და ე.წ. „შარაბიძის წყობის“ სოინარებზე დასაკრავი მელოდიები ფონოგრაფის ცვილის ლილვაკებზე ჩაიწერა.

(იხ. <https://audiomack.com/tedo881/playlist/63251844>).

1934 წელს წიფნარს ვალენტინა სტეშენკო-კუფტინაც ესტუმრა. მოგვიანებით, თავის წიგნში, მეფარიშვილისაგან ნოტებზე გადაღებული სოინარზე დასაკრავების ექვსნაწილიანი ციკლი შეიტანა. სწორედ მასთან

დაუმღერებია ვარდენს მამაპაპისეული ლექსი სოინარზე: „მივალ გურიაში, მარა, სული წინ-წინ გემეპარა; / მას მივსდიე, არ დაბრუნდა, არც მიიღო ქრთამად ფარა; / ფეხებით მივჩანჩალობდი, და

ტანმა ოფლი დაღვარა; / რომ აქებენ ამ გურულებს, ნეტამ გზაში გადამყარა. / ამ დროს ჩემი საყვარელი, მახსოვს ჩემ წინ ჩაიარა, / უთხარ: ადრე გიახლები, არც მოვკვდები არა, არა!“ საინტერესოა, რომ პატარა სოინარი, რომელზეც ეს მელოდიები შეასრულა, შემდგომში ვარდენმა თავად სტემენკო-კუფტინას აჩუქა (პატარა სოინარის ბგერათრიგი, ფოტო და დასაკრავი მელოდიები განთავსებულია მის წიგნში).

1950-იანი წლების დასაწყისში, ვარდენ მეფარიშვილს რთული ცხოვრებისეული პერიოდი დაუდგა: მან, ცილისწამების გამო, ორი წელი ციხეში გაატარა. სასამართლომ კი გაამართლა, თუმცა, ციხის პირობები მის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე ცუდად აისახა.

1959 წელს, მესოინარეს ეთნომუსიკოლოგი კახი როსებაშვილიც ეწვია. მკვლევარმა უკვე 82 წელს მიტანებული ვარდენისაგან სოინარზე დასაკრავი რამდენიმე ნიმუში ჩაიწერა და შემდეგ ნოტებზეც გადაიტანა. ვარდენის შვილიშვილის, ხათუნა სიხარულიძის გადმოცემით, ამ დროს ბაბუას საკრავი არ ჰქონია, ამიტომაც „ჩალამ-კალამი“ დაუკრევია, ზედ მწარე ბლის ქერქი შემოუკრია და იქვე სამი სოინარი დაუმზადებია. მათგან ორი კახი როსებაშვილისთვის უჩუქებია, ერთი კი – თავად დაუტოვებია. თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის გრიგოლ ჩხიკვაძის სახელობის ეთნომუსიკოლოგიის ლაბორატორიის ხალხური საკრავების კოლექციაში დღემდე ინახება ვარდენ მეფარიშვილის მიერ დამზადებული სოინარი.

ცხოვრების ბოლო წლებში, ვარდენ მეფარიშვილს სოინარზე დაკვრის ხალისი დაუბრუნდა. საქართველოს ეროვნულ არქივში ინახება 1959 წლის ჩანაწერი, სადაც იგი სოინარზე საოხუნჯო სიმღერას – „ერთი სახლი ავიშენე, ოქროსა და ვერცხლისა“ – ასრულებს (ეროვნული არქივის კატალოგში ვარდენ მეფარიშვილი კირილეს სახელითაა მოხსენიებული, რაც, ვფიქრობთ, მექანიკური შეცდომა უნდა იყოს, რადგან, 1959 წელს, ვარდენის გარდა, სხვა მესოინარე მეფარიშვილი აღარავინ იყო ცოცხალი).

ვარდენ მეფარიშვილი 1960-იან წლებში რამდენჯერმე ყოფილა რესპუბლიკური (ჩოხატაური, თბილისი) და საკავშირო (ლენინგრადი) ოლიმპიადების ლაურეატი და საპატიო სიგელების მფლობელი. სიცოცხლის ბოლოს, მხოლოდ ერთზე ჯავრობდა – ისე ვეღარ ვასრულებ, როგორც ახალგაზრდობაშიო.

ვარდენის ერთ-ერთი თანასოფლელი იგონებს, რომ ახალგაზრდობაში ძალიან უყვარდა მასთან სტუმრობა და კარგ პურმარილთან ერთად, სოინარზე შესრულებული სიმღერების მოსმენა. დღემდე ახსოვს „სევდით განმსჭვალული“ ერთ-ერთი ასეთი დამღერება: „როს მოვხუცდი, დავუძლურდი, / დაჰკნა სახე, დამელრანჯა, / რაღად გინდა სიყვარული, ჩემო სოინარა, / გინდ იყოს და გინდა არა“.

საუკუნეების განმავლობაში, სოინარი გურულებისათვის ცხოვრების განუყოფელი ნაწილი იყო. საკრავი ღამის მგზავრისა თუ მონადირის განუყრელ ატრიბუტს წარმოადგენდა. სოინარით აფრთხოვდნენ მგლებს, უხმობდნენ ძაღლებს, იტყუებდნენ ფრინველს, ამშვიდებდნენ



ავადმოფებს, მწყემსდნენ ცხოველებს... მასზე უკრავდნენ ყანაშიც – დასვენების დროს. ხშირად, ოჯახის წევრები, სოინარის დაკვრაში ღამეებსაც ათენებდნენ.

როგორც ვალენტინა სტეშენკო-კუფტინა აღნიშნავს, სამწუხაროდ, უკვე 1930-იან წლებში, ახალგაზრდებს სოინარი ბავშვურ გართობად მიაჩნდათ და შემსრულებლების უმეტესობას მსმენელებისა რცხვენოდათ კიდეც...

ვარდენ მეფარიშვილი 1969 წელს გარდაიცვალა. სამწუხაროდ, მიუხედავად მისი მცდელობისა, მომავალი თაობებისათვის გადაეცა ეს ტრადიცია, დღეს სოინარის პირდაპირი მემკვიდრეობა გამწყდარია. ამჟამად, ამ საკრავის შესახებ, მხოლოდ შემორჩენილი წერილობითი თუ აუდიო წყაროებით შეგვიძლია ვიმსჯელოთ. ვარდენ მეფარიშვილის მიერ დამზადებული ბოლო სოინარი დღემდე ინახება მისი შთამომავლების ოჯახში, როგორც უძვირფასესი რელიკვია.

მიუხედავად იმისა, რომ სოინარსა და ლარჭემს მსგავსი დამზადების წესი გააჩნიათ და ვიზუალურადაც ჰგვანან ერთმანეთს, გურულებმა მრავალფეროვანი სალამური თავისებურად ააჟღერეს – სოინართან ერთად მღეროდნენ, ლექსებს ამბობდნენ, „დაამახებდნენ“ ხოლმე, ხან ხმით, ხან – „იფა ბიჭოთი“.



სტეშენკო-კუფტინა აღნიშნავს, რომ არსებობდა სოინარზე დასაკრავი ციკლური ფორმა, რაც მის მაღალგანვითარებულობაზე მიუთითებს. მკვლევრის აზრით, სასოინარე პიესების ექვსნაწილიანი ციკლი, რომელიც ვარდენ მეფარიშვილს მემკვიდრეობით მამისა და ბაბუისაგან გადაეცა, საკრავის რეგისტრული მრავალფეროვნების გამოვლენას ემსახურება, რამდენადაც ეს ექვსბგერიანი დიაპაზონის პირობებშია შესაძლებელი.

1970-იან წლებში გიორგი სალუქვაძემ სცადა სოინარის აღდგენა და ოზურგეთის ანსამბლ „იადონში“ დამკვიდრება. ამისთვის მან საგანგებოდ დაამზადებინა ლითონის სოინარი, დაუმატა მას მეშვიდე მილი, ხოლო მილების თანმიმდევრობა აღმავალი გახდა. ამით, ცხადია, სოინარი ტრადიციულ ფორმას დაშორდა. ანსამბლი „იადონი“ დღემდე ასრულებს „აგუნასა“ და „საფუნდრუკოს“ ამგვარი სოინარების თანხლებით.

ვფიქრობ, როგორც გურული სოინარი, აგრეთვე მეგრული ლარჭემი, ქართული კულტურული მემკვიდრეობის ფასდაუდებელი საგანძურია, რომელშიც კიდეც ბევრი რამაა აღმოსაჩენი და საკვლევი.

თევდორე გოგოლაძე

ქართული ხალხური ჩასაბერი საკრავების მკვლევარი.

მასალა აღებულია ხათუნა სიხარულიძის პირადი ინტერვიუდან და ვ. სტეშენკო-კუფტინას წიგნიდან „ქართული ხალხური მუსიკის უძველესი ინსტრუმენტული საფუძვლები“ (ნაწილი I – პანის ფლეიტა. თბილისი. 1936 წ.)

ინოვაციური კრებული – „სიმღერები ანსამბლ „ნანინას“ რეპერტუარიდან“

სულ ახლახანს, ეთნომუსიკოლოგთა შემოქმედებითმა ჯგუფმა „ნანინამ“ საკუთარი სასიმღერო რეპერტუარი კრებულის სახით გამოსცა. გამოცემის მთავარი ინსპირაცია ქართველი და უცხოელი მსმენელის განსაკუთრებული ინტერესი იყო „ნანინას“ რეპერტუარის მიმართ, რომელიც დიალექტური თუ ჟანრული მრავალფეროვნებით, შესრულების საინტერესო ფორმებით, ორიგინალობითა და საინტერესო ვარიანტების სიუხვით გამოირჩევა.



გამოცემა **ინოვაციურია**: ორხმიანი, სამხმიანი და საკრავებით თანხლებული სიმღერები ჩაწერილია რამდენიმე აუდიო ბილიკად: ერთი – სრული ჟღერადობით (ტუტტი), დანარჩენები – დაწინაურებული ხმებით და *კარაოკე ვერსიებით* – ნაკლული ხმის თავად აყოლების შესაძლებლობით; გარდა ამისა, სიმღერებს, რომლებიც ფერხულითა და ცეკვით სრულდება, ახლავს ვიდეოჩანაწერები. ამგვარად, გამოცემის განსაკუთრებულობა მის მრავალმხრივ, ინტეგრირებულ მიდგომაში მდგომარეობს.

კრებული აერთიანებს რამდენიმე აქტივობის შესაძლებლობას:

- მოსმენა – სრული ჟღერადობის ჩანაწერებით;
- წაკითხვა – სანოტო და სიტყვიერი ტექსტების შეთავაზებით;
- შესწავლა – თითოეული ხმის დაწინაურებული ვერსიების მეშვეობით;

• თვითშემოქმედება/შესრულება – ე.წ. *კარაოკე ვერსიებით*,

რომლებიც მსმენელს აძლევს შესაძლებლობას, თავად შეასრულოს სიმღერის არჩეული ხმა, დანარჩენი ხმების თანხლებით და ამით მრავალხმიანი ჰარმონიის ცოცხალ ნაწილად იქცეს.

ამგვარი მრავალმხრივი დანიშნულების კრებულის გამოცემა მრავალბილიკიანი აუდიო და ვიდეო დანართით, პირველი პრეცედენტია საქართველოში, რომელიც საშუალებას მისცემს გამოუცდელ მსმენელსაც კი:

• მარტივად შეისწავლოს სიმღერის სამივე ხმა (ნოტებისა და დაწინაურებული ხმების მეშვეობით);

• ნასწავლი ხმა თავად ააყოლოს კარაოკე ვერსიის ჩანაწერს;

• ვიდეოჩანაწერების მეშვეობით, ცეკვით ან ფერხულით თანხლებული სიმღერები შეისწავლოს ტრადიციული საშემსრულებლო ფორმით.

კრებულში შესულია „ნანინას“ რეპერტუარის **20 სიმღერის სანოტო ტრანსკრიფცია**, თანდართული ქართული და ლათინური ტექსტებით; ნოტებს ახლავს: სიმღერების ანოტაციები (დიალექტი, ჟანრი, შესრულების თავისებურებები, ეთნოგრაფიული კონტექსტი, საპასპორტო

მონაცემები), შინაარსი, ტექსტები კარაოკე ვერსიებისთვის, შენიშვნები და განმარტებები ქართულ და ინგლისურ ენებზე; ასევე – ქართული ანბანის საერთაშორისო ტრანსკრიფცია (ქართული სიტყვების გამოთქმის გასაადვილებლად).

დანართში შეტანილია აუდიო და ვიდეო მასალა, რომელიც განამტკიცებს სასწავლო პროცესს და ხელმისაწვდომს ხდის ტრადიციული საშემსრულებლო ფორმების გაცნობასა და პრაქტიკულ გამოყენებას. აქვე, მადლობას ვუხდით ჩვენს ბრიტანელ მეგობრებს – ქეროლან ბითელსა და სუზან თომფსონს ვიდეომასალისთვის, რომელიც დანართშია ჩადებული. დანართი ატვირთულია კრებულის ციფრულ პლატფორმაზე და ხელმისაწვდომია კრებულის თავში დართული QR კოდის დასკანერებით.

კარაოკეს იდეის ავტორი და პროექტის მუსიკალური ხელმძღვანელია ვიქტორია სამსონაძე. სიმღერები ჩაიწერა ა. ერქომაიშვილის სახელობის ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ხმის ჩამწერ სტუდიაში (ხმის რეჟისორი - არჩილ ბურჭულაძე); პროექტის ფინანსური მხარდამჭერია საქართველოს კულტურის სამინისტრო.

კრებულის მიზანია ქართული ტრადიციული მრავალხმიანი მუსიკის პოპულარიზაცია და მისი შესწავლის ხელშეწყობა ინოვაციური მიდგომებით, მრავალბილიკიანი აუდიო-ვიდეო რესურსის მეშვეობით და ამით ქართული მუსიკალური ფოლკლორის ხელმისაწვდომობის გაზრდა, როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო ასპარეზზე.

მაკა ხარბიანი

პროექტის იდეის ავტორი,

ხელმძღვანელი და კრებულის შემდგენელი,

ეთნომუსიკოლოგთა შემოქმედებით ჯგუფ „ნანინას“ დირექტორი

ქართული ხალხური სიმღერა დიდ ბრიტანეთში

დიდ ბრიტანეთში ქართული ტრადიციული მუსიკის სიყვარულს 30 წლიანი ისტორია აქვს. ის დაიწყო 1993 წელს, ედიშერ გარაყანიძისა და იოსებ ჟორდანias მიწვევით ლონდონში ქართული ხალხური სიმღერების მასტერკლასების ჩასატარებლად. მას შემდეგ, ედიშერ გარაყანიძეს ყოველ წელს იწვევდნენ ბრიტანეთის სხვადასხვა ქალაქში ამავე მიზნით. 1998 წელს იგი გარდაიცვალა, თუმცა მისმა დაწყებულმა საქმემ განაგრძო სიცოცხლე და დღეს ბრიტანეთში ქართული ხალხური სიმღერის შემსრულებელი არაერთი ანსამბლი არსებობს. მათ შორისაა: „მასპინძელი“, ტრიო „სამაია“, „ფერები“, „ბედნიერი“, „ჩვენი ხმები“ „ტოროლა“. ტრიო „სამაიას“ და ანსამბლ „მასპინძელს“ ჩვენი მკითხველი უკვე იცნობს ბიულეტენის წინა ნომრებიდან. (იხ.: „მასპინძლის“ შესახებ: <https://shorturl.at/R2SFq> ტრიო „სამაიას“ შესახებ: <https://shorturl.at/fLxBQ>).

ახლა გვინდა, სამი ახალი ანსამბლის შესახებ გიამბოთ. ესენია: „ბედნიერი“, „ჩვენი ხმები“ და „ფერები“, რომელთა შესახებ, მათი ხელმძღვანელები, ებ ჯორდანი, ბეთ დე ლანჟი და ჰოლი ტეილორ-ზანცი მოგვითხრობენ.

ანსამბლი „ბედნიერი“ (ხელმძღვანელი ებ ჯორდანი)



ქართული ხალხური სიმღერების ერთად მღერა 2023 წელს დავიწყეთ. თავდაპირველად ამას ერთგვარი ექსპერიმენტის სახე ჰქონდა. ქალაქ ბირმინგემში ვეძებდი ადამიანებს, ვისთან ერთადაც ქართული სიმღერების შესრულებას შევძლებდი. მას შემდეგ, ჩვენ გავიზარდეთ, დაახლოებით, ოცდაათი სტაბილური წევრით, გუნდად ჩამოვყალიბდით და ორ კვირაში ერთხელ დავიწყეთ შეკრება. ნებისმიერ მსურველს შეუძლია, ჩვენს გუნდს შემოუერთდეს; ბოლო ორი წლის

განმავლობაში, ბევრ სუფრას დავესწარიტ და მრავალ ღონისძიებასა თუ ფესტივალში მივიღეთ მონაწილეობა.

არაერთი სიმღერა შევისწავლეთ ბირმინგემში მოწვეული მასწავლებლის, ნინო ნანეიშვილისაგან. 2024 და 2025 წლებში, გვქონდა პატივი, გვემასპინძლა „ამერ-იმერისა“ და „ნანინასთვის“, დიდ ბრიტანეთში მათი ტურნეს ფარგლებში და მათგან ახალი სიმღერები შეგვესწავლა. წელს, ჩვენი, როგორც გუნდის, პირველი მოგზაურობა უელსში შედგა, სადაც შაბათ-კვირა დავუთმეთ ქართული სიმღერების შესწავლასა და შესრულებას, ცეკვას, სუფრას და ერთად სასიამოვნო დრო გავატარეთ. ანსამბლს სახელად „ბედნიერი“ შევურჩიეთ, რადგან ბედნიერები ვართ, რომ შეგვიძლია ქართული სიმღერების შესრულება და ეს ყველას დიდ სიხარულს გვანიჭებს. ჩვენ საქართველოსთან ბევრი რამ გვაკავშირებს – გუნდის ზოგიერთ წევრს ქართული ფესვები აქვს, ხოლო მე, შვიდ წელზე მეტია, რაც ვმღერი და ვსწავლობ ქართულ სიმღერებს. პირველი გამოცდილება ქართულ მრავალხმიანობაში 12 წლის ასაკში მივიღე, როდესაც ანსამბლი „ამერ-იმერი“ ჩვენს სკოლას ესტუმრა, 2002 წელს. ამ გამოცდილებამ ქართული სიმღერის სიყვარული გამიღვივა. შემდეგ, 4 წლის განმავლობაში ვწავლობდი მუსიკასა და ეთნომუსიკოლოგიას იორკის უნივერსიტეტში და 3 წლის განმავლობაში – ინდონეზიაში. 2018 წელს, ლონდონში, ანსამბლ „მასპინძელს“ შევუერთდი და ქართული მუსიკის წარმოუდგენელ ვიბრაციებს ხელახლა შევეხე. მე გამიმართლა, რომ ბევრ შესანიშნავ ქართველ მასწავლებელთან მქონდა ურთიერთობა, როგორც დიდ ბრიტანეთში, ისე – მის ფარგლებს გარეთ. ჩემი გამოცდილება მოიცავდა მოგზაურობას საქართველოს მრავალ კუთხეში, ისეთ ცნობილ მომღერლებთან და ეთნომუსიკოლოგებთან ერთად, როგორებიც არიან ნანა მჭავანაძე, ლევან ბითაროვი, ნინო ნანეიშვილი, დები ჩამგელიანები, მურად

ფირცხელანი, დათო ზურაბიანი, თურმანიძეების ოჯახი და ა.შ. განსაკუთრებით აღვნიშნავდი კახური ორნამენტების შესწავლას ეკა შოშიაშვილისგან.

ანსამბლ „მასპინძელთან“ ერთად, 2023 წელს მონაწილეობა მივიღე საერთაშორისო ფესტივალში „საქართველო“, სადაც სხვადასხვა გუნდისაგან შევისწავლე სიმღერები და ცეკვები; მათ შორის იყო „ლაღზორიც“. თორნიკე სხიერელმა და ანა ჩამგელიანმა შემასწავლეს ჭუნირზე დაკვრა; რეგულარულად ვმეცადინეობ ფრანკ კეინთან და მისი „დიდი ბრიტანეთის ქართული სიმღერის მასწავლებელთა ჯგუფის“ წევრი ვარ.

ამ გამოცდილებას ვიყენებ ანსამბლ „ბედნიერის“ ხელმძღვანელობისას, ქართული სიმღერისა და კულტურისადმი პატივისცემის გასაღრმავებლად და იმგვარი ხმოვანი სამყაროს შესაქმნელად, რომელიც შთაგონებულია ქართველების მღერის მანერით.

ჩვენ შევისწავლით საქართველოს ყველა რეგიონისა თუ ეთნოგრაფიული ჯგუფის რეპერტუარს, რათა წარმოვაჩინოთ ამ ქვეყნის სტილური მრავალფეროვნება.

ახლახანს შევქმენით მეორე, მცირე მოცულობის გუნდი, რომელიც შეისწავლის უფრო რთულ რეპერტუარს – საეკლესიო საგალობლებს, რთული საშემსრულებლო ტექნიკის მქონე გურულ კრიმანჭულიან სიმღერებს, კახურ ორნამენტებს და ა.შ.

2026 წლის მაისში, Pitchblend-თან თანამშრომლობით, ვგეგმავთ ფესტივალ „წუთისოფლის“ ჩატარებას, რომელშიც ვიმედოვნებთ, რომ მონაწილეობას მიიღებენ ანსამბლი „ადილეი“ და დები ჩამგელიანები. აგრეთვე დიდი იმედი გვაქვს, რომ მომავალში სიმღერის კიდევ მრავალ ვორკშოფსა თუ ქართული ცეკვის გაკვეთილს ვუმასპინძლებთ.

ანსამბლი „ჩვენი ხმები“ (ხელმძღვანელი ბეთ დე ლანჟი)

ქართული სიმღერა პირველად 2001 წელს, „უნიკორნის ბუნებრივი ხმის“ ბანაკში ვიმღერე. ეს იყო სიმღერა „ელესას“ მხოლოდ ერთი ფრაგმენტი, რომელიც ჩემმა ინგლისელმა მეგობარმა შემასწავლა, თუმცა მოსმენილმა ჰარმონიამ მაშინვე მოიხიბლა. ამის შემდეგ, ძალიან გამიძარტლა, რომ კინერსლის ციხესიმაგრეში „მთიების“ საზაფხულო სკოლას დავესწარი. რამდენიმე დღის განმავლობაში, სხვა ენთუზიასტებთან ერთად ხალხური სიმღერების შესწავლაში ვიყავი ჩაფლული. ამ საზაფხულო სკოლამ შემმატა ენთუზიაზმი და თავდაჯერებულობა იმისა, რომ რამდენიმე ქართული სიმღერა ჩემი სათემო გუნდებისთვის მესწავლებინა. ესენი იყო: „შენ ხარ ვენახი“, „ჩელა“ და „ასლანური მრავალჟამიერი“, რომლებიც ჩემი გუნდის წევრებსაც ძალიან მოეწონათ. შემდგომში, მაიკლ ბლუმის ბრიტანეთის ქართული გუნდების ონლაინ ქსელში დავრეგისტრირდი. აქედან გავიგე, რომ ანსამბლი „ანჩისხატი“ დიდ ბრიტანეთში გასტროლებზე ჩამოდიოდა. მე მათ შევთავაზე, დერბის საკათედრო ტაძარში, კონცერტისა და ვორკშოფის ჩატარება. ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც დერბიში მცხოვრებმა მომღერლებმა ქართველების ცოცხალი შესრულება მოისმინეს და უშუალოდ მათგან შეისწავლეს სიმღერები. ეს გამოცდილება ყველა ჩვენგანისათვის ძალიან საინტერესო იყო. ქართული სიმღერისადმი მზარდმა ინტერესმა მიბიძგა, დერბიში ქართული სიმღერის შემსწავლელი, ჩემი პირველი ჯგუფი ჩამომეყალიბებინა. ეს

არასდროს ყოფილა საშემსრულებლო ჯგუფი. ჩვენ უბრალოდ ვხვდებოდით ერთმანეთს და ერთად ვმღეროდით გასართობად. მე გახლავართ Natural Voice Network (NVN)-ის წევრი, რაც იმას ნიშნავს, რომ მე ყველა ადამიანს ვიწვევ ერთად სიმღერით ტკბობისათვის და ჩვენი მიზანი ყოველთვის არ არის შემსრულებლობა. დერბიში ყოფნის დროს, ვცდილობდი, რომ ჩვენს ქალაქში რაც შეიძლება მეტი ქართველი მომღერალი მომეწვია, რათა მათ ჩვენთვის ემღერათ და ვორკშოპები ჩაეტარებინათ. მათ შორის იყვნენ: ნანა მჭავანაძე, „მზეთამზე“, „სათანაო“, მალხაზ ერქვანიძე...




2017 წელს, ლანკასტერში გადავედი საცხოვრებლად და დავიწყე ქართული სიმღერის ვორკშოპების ჩატარება. ეს ვორკშოპები ყველასათვის ღია იყო და ბევრი დამსწრეც გვყავდა. გადავწყვიტე, რომ ჯგუფი ლანკასტერის სააბატოში დაგეგმილი კონცერტისათვის მომემზადებინა. სამწუხაროდ, ჩვენი გეგმები კოვიდმა ჩაშალა. ვირუსის გავრცელების თავიდან აცილების მიზნით, კონცერტი გავაუქმეთ, მომდევნო კვირიდან კი კარანტინი დაიწყო. კარანტინის დასრულების შემდეგ, ჯგუფის წევრმა, სარა თომასმა მკითხა, შეგვეძლო თუ არა ისევ შეხვედრა და ერთად მღერა. ღია ჯგუფის ხელახლა შესაქმნელად მზად არ ვიყავი, ამიტომაც რამდენიმე მეგობარი შევარჩიე და ჯგუფის ერთ-ერთი წევრის სახლში დავპატიჟე. სწორედ მაშინ გამიჩნდა საშემსრულებლო ჯგუფის შექმნის იდეა. ჩვენ ბევრ ადგილობრივ საქველმოქმედო ღონისძიებაზე გამოვედით და საბოლოოდ, ლანკასტერის სააბატოში, ჩვენი სიმღერის ოცნება ავისრულეთ. ეს იმდენად

წარმატებული აღმოჩნდა, რომ ახლა, ყოველწლიურად, შობის დღესასწაულზე, „ალილოს“ შესასრულებლად გვეპატიჟებიან. ჯგუფის სახელი – „ჩვენი ხმები“ არის ქართული სიმღერების შესრულებით ჩვენს მიერ მიღებული სიამოვნების გამოხატულება და ამავდროულად, იმის აღიარება, რომ მათ ძლიერი ლანკაშირული აქცენტით ვასრულებთ! ასევე, ხელახლა შევქმენი ვორკშოპების ჯგუფი, რომელიც ყველასათვის ღიაა და კვლავ წარმატებულია. ლანკასტერში ჩემი გადასვლის შემდეგ, გაგვიმართლა და რამდენიმე ქართულ გუნდს ვუმასპინძლეთ. დავიწყეთ ბადრი ჯიმშელიშვილის ახალგაზრდული გუნდის მასპინძლობით. შემდეგ, Pitchblend-თან პარტნიორობის წყალობით, საშუალება მოგვეცა გვემასპინძლა ანსამბლებისათვის „მუსიკელი“, „იალონი“ და „ამერ-იმერი“. წელს კი წილად გვხვდა პატივი, ფესტივალ „წუთისოფლის“ ფარგლებში, მასპინძლობა გაგვეწია ჯგუფისათვის „ნანინა“. უკვე ბევრი სიმღერა შევისწავლე, ამიტომ, ჩემი ჯგუფებისთვის რეპერტუარის შერჩევისას, რამდენიმე ფაქტორით ვხელმძღვანელობ: მომწონს თუ არა ესა თუ ის სიმღერა, მინდა თუ არა მისი შესრულება და რამდენად ადვილი იქნება მისი შესწავლა ჩემი მომღერლებისათვის. ძირითადად, ფოლკლორულ სიმღერებს ვმღერით.

სიამოვნებით ვასრულებთ ქალაქურ ნიმუშებსაც, მაგალითად „გაზაფხული“ და „სულიკო“... ვაგრძელებთ, ასევე, ჩვენი საშობაო რეპერტუარის გაფართოებასაც. გასულ წელს, ჩვენმა მეგობარმა ლაშა ფუტყარაძემ, გადაგვიღო ვიდეო, თუ როგორ ვმღეროდით ბადრისგან ნასწავლ მრავალჟამიერს. ეს ვიდეო საქართველოში ვირუსულად გავრცელდა. მრავალი სიყვარულით სავსე კომენტარი მივიღეთ! ჩემი ოჯახური მდგომარეობიდან გამომდინარე, მოგზაურობას ვერ ვახერხებდი, თუმცა 2013 წელს, ერთწლიანი შესვენება მქონდა. ერთი შვილი გაიზარდა და სახლიდან წავიდა, მეორე კი ჯერ დაბადებული არ იყო. ამით ვისარგებლე და სვანეთში, ლახუშდს ვესტუმრე. ეს ჩემთვის ძალიან დასამახსოვრებელი მოგზაურობა გახლდათ: წილად მხვდა პატივი, გივი ფირცხელანის დაბადების დღის სუფრაზე ჭაჭა დამეგემოვნებინა, დები ჩამგელიანების სიმღერა მომესმინა, მთაზე პატარა ეკლესია მომენახულებინა და უშგულში მემოგზაურა. „ჩვენი ხმები“ და ჩემი ვორკშოფის ჯგუფი კვლავაც ვაგრძელებთ შეხვედრებსა და ერთად მღერას. წელს, სამ საშობაო წარმოდგენას ვგეგმავთ: ერთს – ლანკასტერის სააბატოში, მეორეს – ლეიქ დისტრიქტში, მესამეს კი – ადგილობრივი გარემოს დაცვის ორგანიზაციისათვის. ასევე, ვგეგმავთ საქართველოს ერთად მონახულებას – საფეხმავლო ტურებსა და, რა თქმა უნდა, ერთად სიმღერას!

გუნდი „ფერები“ (ხელმძღვანელი ჰოლი ტეილორ-ზანცი)



„ფერები“ ოქსფორდში ახლად შექმნილი, ქართული პოლიფონიური სიმღერის შერეული გუნდია. ჯგუფი 2025 წლის ოქტომბერში ჩამოყალიბდა და ღიაა ყველა სქესისა თუ შესაძლებლობის მქონე მომღერლისათვის. „ფერები“ ფოკუსირებულია ქართული სიმღერის გულში არსებულ სულისკვეთებაზე. მე გახლავართ Natural Voice-ის ლიდერი, რამდენიმე წლის განმავლობაში ვცხოვრობდი საქართველოში და სიმღერებს ტრადიციების ადგილობრივ მატარებელთაგან ვსწავლობდი. მე ქართულ მრავალხმიანობას სხეულისა და სომატურ ვოკალურ პრაქტიკებთან ვაერთიანებ, რაც რთულ ჰარმონიებს სათემო მომღერლებისათვის უფრო ხელმისაწვდომსა და ცოცხალს ხდის. ქართული ენის შესწავლისა და ქვეყნის მასშტაბით მოგზაურობის შედეგად, თითოეული სიმღერის სწავლებისას, შემიძლია, გუნდის წევრებს მათი კულტურული კონტექსტი,

ისტორია და მნიშვნელობაც ავუხსნა. მე, ასევე, ვატარებ ვორკშოფებს და ვუძღვები შაბათ-კვირის კურსებს ქართული სიმღერისა და ვოკალის შესახებ (hollytaylor-zuntz.com); ვმღერი

დღესასწაულებზე ქართულ სოფლებში, მაგალითად მერისა და ლახუმდში (devotionalarts.org); სიუზან თომპსონთან ერთად მიმყავს პოდკასტი „წინაპართა ხმები“ (www.voicesoftheancestors.co.uk). რამდენიმე წლის განმავლობაში ვხელმძღვანელობდი ოქსფორდში არსებულ ქალთა ქართულ გუნდს „ქალთა“, რომელმაც ტრადიციული სიმღერის გარშემო ძლიერი საზოგადოება შექმნა. 2025 წელს ეს პროექტი „ფერების“ სახელით განვითარდა და შერეულ გუნდად იქცა. მან უკვე უმასპინძლა მოწვეულ პედაგოგებს – ნინო ნანეიშვილსა და ფრანკ კეინს, ანსამბლებს „ამერ-იმერსა“ და „ნანინას“, რომლებიც Pitchblend-მა მოიწვია. ოქსფორდმა მტკიცედ დაიმკვიდრა თავი დიდი ბრიტანეთის ქართული სიმღერის „ცხელი წერტილების“ რუკაზე.

გუნდის სახელი „ფერები“ სიფრთხილით შეირჩა. ქართულად სიტყვა „ფერები“ მრავალფეროვან ელფერს ატარებს და გვხვდება სიტყვებში, როგორებიცაა: „მრავალფეროვნება“ (ანუ მრავალი ფერი) და „ყველაფერი“ (ყველანაირი). ის სიმბოლურად გამოხატავს მრავალფეროვნებას ერთიანობაში. ეს კი იდეალურად ერგება გუნდს, სადაც განსხვავებული ხმები ერთმანეთში იხლართება და ქმნის ერთიან, ცოცხალ ჟღერადობას. „ფერები“ სიმბოლურად გამოხატავს ჯგუფის მიზანს – განსხვავებულობას და იმ მკაფიო ფერებს, რომლებიც მაშინ ჩნდება, როდესაც ადამიანები ერთად მღერიან.

მესხური საარქივო მასალის საშემსრულებლო პრაქტიკაში დაბრუნება

1901 წლიდან არსებობს ქართული ტრადიციული მუსიკის ჩანაწერების მდიდარი კოლექციები, რომლებიც დაცულია საქართველოს სხვადასხვა აუდიო არქივში. მათ შორის მესხური სიმღერები ერთ-ერთი ყველაზე ნაკლებად დაფიქსირებულია და შესაბამისად, მესხური მუსიკა ერთ-ერთი ყველაზე ნაკლებად შესწავლილი ქართული მუსიკალური დიალექტია.

*მესხეთის ეთნომუსიკოლოგიური შესწავლა მხოლოდ 1930-იან წლებში დაიწყო რიგი მიზეზების გამო: 1830-იანი წლებიდან ეს რეგიონი იყო ტერიტორიული დავის საგანი მეფის რუსეთსა და ოსმალეთის იმპერიებს შორის. ეს დავა მემკვიდრეობით გადაეცა სსრკ-სა და თურქეთის რესპუბლიკას. მესხეთის რეგიონში შესვლას მკაცრად აკონტროლებდა საბჭოთა უშიშროება. ეს ჩაკეტილობა დიდწილად იყო მიზეზი იმისა, რომ მესხური ხალხური მუსიკის სიღრმისეული შესწავლა მხოლოდ 1960-იან წლებში დაიწყო და ეს საქმე ვალერიან მაღრაძეს უკავშირდება. გთავაზობთ ტმკს-ის მეცნიერ თანამშრომლის, **ზაია ჟუჟუნაძის** ინტერვიუს ეთნომუსიკოლოგ **ვიქტორია სამსონაძესთან**, ახალციხის სალოტბარო სკოლის კონსულტანტთან, ლოტბართან, რომლის სპეციალური სამეცნიერო ინტერესის საგანი მესხეთი და მისი მუსიკალური კულტურაა.*

ბ.ჟ. – ვიქტორია ვალერიან მაღრაძის არქივის შესწავლასა და მის გამომზეურებაში თქვენ განსაკუთრებული პროფესიული და პიროვნული წვლილი მიგიძღვით. მალე 1 წელი გახდება, რაც ახალციხის სალოტბარო სკოლის კონსულტანტი ხართ და საარქივო ჩანაწერებს შეასწავლით ბავშვებს.

ვ.ს. – მადლობელი ვარ, რომ ისეთი მნიშვნელოვანი და განსაკუთრებული საკითხით დაინტერესდით, რომელიც მესხური მუსიკალური კულტურის მომავალი თაობებისათვის გადაცემა და ახალი სიცოხლეა. ძალიან მახარებს, რომ მეძლევა შესაძლებლობა, ჩემი პროფესიული გამოცდილება თუ მეცნიერული დაკვირვებები გავუზიარო სალოტბარო სკოლის მოსწავლეებს. მადლიერი ვარ ანზორ ერქომაიშვილის სახელობის ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის, მისი ხელმძღვანელის, ბ-ნ გიორგი დონაძის და სალოტბარო სკოლების შემოქმედებითი მიმართულების ხელმძღვანელის ქ-ნ ლიკა ლიპარტელიანის, რომლებმაც ნდობა გამომიცხადეს და უაღრესად საპასუხისმგებლო საქმის გაძღოლა მომანდეს.

თქვენ მართებულად აღნიშნეთ, რომ მესხეთის რეგიონის მუსიკალურ ტრადიციებზე დაკვირვება და აუდიო მასალის შეგროვება უკვე თითქმის 100 წელიწადს ითვლის. დღემდე შემონახულია კომპოზიტორ შალვა მშველიძის (1932-33), ეთნომუსიკოლოგ გრიგოლ ჩხიკვაძის (1949) სავსე საექსპედიციო აუდიო მასალა, რომელიც მოწმობს, რომ იმ პერიოდის მესხეთში ზოგიერთი ხალხური მთქმელის მეხსიერებაში, მართალია მცირე დოზით, მაგრამ ჯერ კიდევ შემორჩენილი იყო ძველი მესხური მუსიკალური ტრადიცია. ისიც ცხადია, რომ ეს, ოდესღაც მრავალხმიანი, ჟანრულად მრავალფეროვანი, მელოდიურად საინტერესო, მდიდარი და უნიკალური, უძველესი ტრადიცია იმ პერიოდში ქართული კვალის მიღევით ხასიათდებოდა, გაქრობის პირზე იყო და „შველას“ საჭიროებდა. საბედნიეროდ, მომდევნო წლებში, გულმოდგინედ და დიდი ენთუზიაზმით საქმეს ხელი მოკიდა ამ კუთხის დიდმა მამულიშვილმა – კომპოზიტორმა ვალერიან მაღრაძემ, რომელმაც უდიდესი ტვირთი იკისრა – გადაერჩინა, აეღორძინებინა და ახალი სიცოცხლე მიენიჭებინა მესხური მუსიკალური ტრადიციისათვის. მან მესხეთის სოფლებში მრავალხმიანი აზროვნების კვალს მიაკვლია და სწორედ ამის საფუძველზე შეკრიბა ანსამბლი, რომლის მეშვეობითაც შესთავაზა საზოგადოებას ძველი ერთხმიანი მესხური ნიმუშების მრავალხმიანად აჟღერებელი, მისეული ვერსიები. ამრიგად, თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ვალერიან მაღრაძემ შემგროვებლურ და ეთნომუსიკოლოგიურ მოღვაწეობასთან ერთად, საფუძველი ჩაუყარა მესხური ტრადიციული სიმღერის სასცენო შემსრულებლობას.

ამ კუთხის საშემსრულებლო ტრადიციის შენარჩუნებისა და პოპულარიზაციის საქმეში ჯეროვანი წვლილი მიუძღვის ბ-ნ შოთა ალთუნაშვილსაც, რომელიც ექსპედიციებში ხშირად თან ახლდა ბ-ნ ვალერიანს. ბ-ნი შოთას გარდაცვალებამდე რამდენიმე წლით ადრე, მასთან შეხვედრის ბედნიერება მეც მხვდა წილად. ახლაც მახსოვს მისი გახარებული სახე, რომ გაიგო, ფოლკლორით დაინტერესებული ახალგაზრდა გოგონები კონსერვატორიდან (ამჟამად ეთნომუსიკოლოგები: მაია გელაშვილი, ქეთევან ბანცაძე და თქვენი მონამორჩილი), სპეციალურად ჩავედით ახალციხეში მესხური სიმღერების მოსაძიებლად და ჩასაწერად (1999 წ.). ბ-ნი შოთა დიდი ენთუზიაზმით გვიმღეროდა და გვიზიარებდა მისი კუთხის სიმღერების თავისებურებებს. მახსოვს, ამ შეხვედრიდან გამოსულებმა, იქვე ავაჟღერეთ სამ ხმაში მისგან სახელდახელოდ ნასწავლი „სამყრელო“. ეს იყო ჩემთვის მესხური სიმღერის აღმოჩენა და აღფრთოვანება. სწორედ მაშინ, იმ ჩვენს პირველ ექსპედიციაში დავინტერესდი ამ კუთხის სიმღერებით. შემდგომში კი ჩემი

პროფესიული ინტერესების დიდი ნაწილი სწორედ მესხეთის მუსიკალური კულტურის შესწავლა-შესრულებას დავუთმე, რითაც ძალიან ბედნიერი ვარ.

მესხეთში მომავალი თაობების აღზრდაში დიდი როლი მიუძღვის ბ-ნ ზაზა თამარაშვილს, რომელიც მრავალი წელია უძღვება ამ საქმეს, ბევრი თაობა აღზარდა და შეაყვარა საკუთარი კუთხის სიმღერები. დღესდღეობით ანსამბლ „მესხეთის“ ხელმძღვანელობის გარდა, ბ-ნი ზაზა ახალციხის სალოტბარო სკოლის ლოტბარია. ასეთი გამოცდილებისა და მაღალპროფესიული დონის ადამიანთან თანამშრომლობა ჩემთვის დიდი პატივია.



ბ.ჟ. – რამდენად კომპლექსურია სწავლების პროცესი?

ვ.ს. – ზოგადად, სალოტბარო სკოლების სასწავლო პროგრამა მოიცავს, როგორც საკუთარი, ისე საქართველოს სხვა კუთხეების მუსიკის შესწავლას. მოსწავლეები ეუიარებიან, როგორც ხალხურ სიმღერას, ისე საეკლესიო გალობას, სხვადასხვა საკრავზე დაკვრას, საფერხულო და საცეკვაო

მოდრობასა და ზეპირსიტყვიერებას. ამდენად, სწავლების პროცესიც ძალიან საინტერესო და მრავალფეროვანია.

პერიოდულად ჩავდივარ სამცხე-ჯავახეთში, რათა უფრო მეტად დავაინტერესო მოსწავლეები საკუთარი კუთხის ტრადიციებით, მოვუყვე, თუ რა ისტორიული გზა გაიარა მუსიკალურმა ტრადიციებმა, ფოლკლორულმა ნიმუშებმა, სანამ ჩვენამდე მოაღწიეს, რა ეთნოგრაფიული კონტექსტი ახლავს ამა თუ იმ სიმღერას, რომელსაც დღეს ვასრულებთ, რა მნიშვნელობა აქვს მესხური სიმღერის აღდგენა-გაცოცხლების საქმეს; კონკრეტული ნიმუშის მაგალითზე ვცდილობ დავანახო, თუ რამხელა საგანძურის პატრონები არიან და რაოდენ მნიშვნელოვანი მისია აკისრია თითოეულს ამ მემკვიდრეობის შენარჩუნება – გადაცემის საქმეში. მათთან ყოველი შეხვედრა მეც მზრდის, დიდ მუხტსა და მოტივაციას მამღლევს, რადგან დიდ ინტერესს ვხედავ მათში.

ბ.ჟ. – რა დამოკიდებულება აქვთ ბავშვებს, მსმენელებს, გაცოცხლებული საარქივო მასალის მიმართ?

ვ.ს. – საკითხები, რომლებსაც ჩვენი შეხვედრების დროს განვიხილავთ, ცხადია საარქივო მასალების აღდგენასაც ეხება. წელს ახალციხის სალოტბარო სკოლასთან განვახორციელეთ პროექტი „დაუვიწყარი მარგალიტი“, სადაც აღვადგინეთ, ძალიან საინტერესო და უძველესი მესხური ნიმუში, სუფრული სიმღერა „გეგუთისა მინდორზედა“. თეორიული ნაწილის გაცნობის, ვარიანტების მოსმენისა და ხანგრძლივი განხილვის შემდეგ, ბავშვები სულ სხვა მზაობით შეუდგნენ სიმღერის პრაქტიკულ შესწავლას – მათ უკვე გააზრებული ჰქონდათ ამ ნიმუშის შინაარსი და საკუთარი

როლი მისი აღორძინების საქმეში. გადაღების დროს, რომელიც ძველ მესხურ გვირგვინიან დარბაზში მიმდინარეობდა, ბავშვებმა საკუთარ წინაპართა მემკვიდრეების როლი გასაოცად მოირგეს და ძველი მესხური სუფრის ტრადიცია სიმღერით გააცოცხლეს. თქვენ თავად შეგიძლიათ ნახოთ ვიდეორგოლი, რომელზეც ახლა ვსაუბრობ ფოლკლორის ცენტრის გვერდზე და დარწმუნდებით ბავშვების საოცარ დამოკიდებულებაში გაცოცხლებული საარქივო მასალის მიმართ. <https://www.facebook.com/share/v/1BZEqehtzG/>

ბ.ჟ. – როგორც ვიცით, მადრამის ჩანაწერების უმეტესი ნაწილი მონოფონიურია. როგორ ახდენთ მონოფონიური ნიმუშების გამრავალხმიანებას?

ვ.ს. – ეს ძალზე საფრთხილო საკითხია და ფაქიზ მიდგომას მოითხოვს. ერთი შეხედვით, ერთხმიანი ნიმუშის გამრავალხმიანება, პროფესიონალი მუსიკოსისთვის განსაკუთრებულ სირთულეს არ წარმოადგენს. მაგრამ, როდესაც საქმე ეხება საარქივო ჩანაწერებს, მით უფრო გამჭრალ მრავალხმიანობას, ეს საჭიროებს სიღრმისეულ შესწავლას, დაწყებულს კუთხური ტრადიციებით, დამთავრებულს დიალექტური შემსრულებლობისთვის დამახასიათებელი ნიუანსებით, ამასთანავე, ყველა იმ დარგობრივი თავისებურებების გათვალისწინებით, რასაც ფოლკლორის სინკრეტული ბუნება აერთიანებს. ამ პროცესს მე „მუსიკალურ რესტავრაციას“ ვუწოდებ და როდესაც ძველ აღსადგენ ნიმუშს ხელს ვკიდებ, თავს მართლაც რესტავრატორად ვგრძნობ. აქ ფანტაზიას გასაქანს ვერ მისცემ, რადგან თითოეულ ბგერას თავისი კუთვნილი ადგილი უნდა მოუძებნო, მნიშვნელობა არ დაუკარგო და ახალი სიცოცხლე შთაბერო – ნიმუშის საერთო კონტექსტისა და ხალხური მუსიკალური აზროვნების ლოკალური მახასიათებლების გათვალისწინებით.

ბ.ჟ. – აღდგენილ ნიმუშებს, ანსამბლის რეპერტუარის გარდა, ყოფით რეალობაშიც თუ აცოცხლებთ?

ვ.ს. – ეს უკვე ბუნებრივად ხდება. ის რაც შენი სულის ნაწილია, ყოფაშიც თავისთავად გადმოდის. ბავშვების შემთხვევაშიც ასე იქნება – როდესაც ემღერებათ, ყოველთვის იტყვიან თავიანთ სათქმელს სიმღერით, სადაც შესაფერისი გარემო დახვდებათ - მეგობრებთან, სუფრასთან, სტუმრებთან, კონცერტზე თუ ექსკურსიაზე – ყველგან, სადაც საკუთარი სისხლის ყივილი გულს აუჩქარებს, ყოველთვის ხელახლა გააცოცხლებენ ნასწავლ აღდგენილ ნიმუშებსაც. ასე დაუბრუნდება ყოფას, ასე გაგრძელდება ტრადიცია, ყოველგვარი ძალდატანებისა და მითითების გარეშე. „დაუვიწყარი მარგალიტის“ გადაღების დღესაც ასე მოხდა: როდესაც საქმიან ნაწილი, საკმაოდ დამღლევი გადაღების პროცესი დავასრულეთ, მასპინძელმა სხვა სივრცეში სუფრა გაგვიშალა... აუშრია გული ლოტბარს, ბატონ ზაზა თამარაშვილს, ეშხიანად შემოსდახა – „გეგუთისა მინდორზედა ლურჯი ცხენიც მოგოგვენდა...“ აყვინ ბავშვებიც, ყოველგვარი თხოვნისა და მითითების გარეშე, გულწრფელად და ბუნებრივად. ნამდვილ ყოფით გარემოში, რეალურ სუფრასთან აქდრებული სუფრული – იქვე, ჩვენს თვალწინ, ჩვენი ყოფის განუყოფელ ნაწილად იქცა. ეს წუთები აღდგენილი ნიმუშის ყოფით რეალობაში დაბრუნების თვალნათელი მაგალითი იყო ჩემთვის. ვფიქრობ, ეს დღე ბავშვებს არასოდეს დაავიწყდებათ, ეს სიმღერა კი უკვე მათი სულის ნაწილია, რომლის სიყვარული თავის ნაყოფს აუცილებლად გამოისხამს.

ბ.ჟ. – მრავალხმიანი აზროვნების თვალსაზრისით, ახლა როგორი მდგომარეობაა მესხეთში?

ვ.ს. – ვფიქრობ, საკუთარი გენეტიკური მეხსიერება დიდ როლს ითამაშებს მრავალხმიანი აზროვნების დაბრუნების საკითხში. ამ თვალსაზრისით, ახალ თაობაში მუსიკალური მემკვიდრეობის „ჩაბრუნება“, გაზიარება და პოპულარიზაცია გადამწყვეტ როლს შეასრულებს. ეს პროცესი უკვე დაწყებულია და სამცხე-ჯავახეთში სალობარო სკოლების არსებობა ოპტიმიზმის საფუძველს წამდგომად გვაძლევს.

ბ.ჟ. – დიდი მადლობა, წარმატებებს გისურვებთ!

ერთი რეგიონული ანსამბლის შესახებ

ფოლკლორული ანსამბლი „მზეშინა“ თელავიდან

თელავის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრთან არსებული გოგონათა ფოლკლორული ანსამბლი „მზეშინა“ შეიქმნა 2017 წელს, ეკატერინე ყარაულაშვილის ხელმძღვანელობით. ანსამბლის კონსულტანტი და თანახელმძღვანელი წლების განმავლობაში გახლდათ ბექა ბიძინაშვილი. „მზეშინას“ მთავარი მიზანია აღმოსავლეთ საქართველოს მთისა და ბარის სიმღერების მივიწყებული ფოლკლორული ნიმუშების მოძიება, აღდგენა და გაცოცხლება. დეტალურად ანსამბლის მოღვაწეობის შესახებ, მის ხელმძღვანელს, ეკატერინე ყარაულაშვილს გაეცნაუბრეთ.

ს.კ. – მოგვიყევით ანსამბლის ჩამოყალიბების ისტორიის შესახებ

ე.ყ. – ანსამბლი „მზეშინა“, როგორც მაღლობელ-მომღერალთა გუნდი, დღევანდელი შემადგენლობით, ჩამოყალიბდა 2017 წელს, თუმცა უნდა ითქვას, რომ გოგონებს ერთად მღერისა და გალობის გამოცდილება ბავშვობიდან აქვთ. 20 წლის წინ, 2005 წელს დავაარსე ბავშვთა ფოლკლორული ანსამბლი „მზეშინა“. შეიძლება ითქვას, რომ სწორედ მისი მემკვიდრეა დღევანდელი ანსამბლი.

ს.კ. – ვინ არიან ანსამბლის წევრები და რას საქმიანობენ?

ე.ყ. – ანსამბლში ამჟამად 10 წევრი ვართ. გოგონები არიან როგორც თელავიდან, ისე თელავისა და ახმეტის სოფლებიდან. ანსამბლის ზოგიერთი წევრი გიორგი მთაწმინდელის სახელობის



გალობის უნივერსიტეტისა და კონსერვატორიის სტუდენტია, გვყავს თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის სალოტბარო მიმართულების კურსდამთავრებულიც, აგრეთვე სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლები.

ს.კ. – რას მოიცავს ანსამბლის რეპერტუარი?

ე.ყ. – ანსამბლში ძირითადად კახურ სიმღერებს ვმღერით, როგორც ქალთა, ასევე მამაკაცთა რეპერტუარიდან, თუმცა, რა თქმა უნდა, ვასრულებთ აღმოსავლეთ საქართველოს მთისა და ბარის სხვა კუთხეების ნიმუშებსაც. გარდა ამისა, „მზეშინას“ წევრები ფლობენ ხალხურ საკრავებს და გალობენ სხვადასხვა ტაძარში.

ს.კ. – რა წყაროებიდან სწავლობთ სიმღერებს და როგორია მათზე მუშაობის პროცესი?

ე.ყ. – სიმღერებს ვსწავლობთ როგორც სანოტო, ასევე საარქივო აუდიოჩანაწერებიდან. განსაკუთრებით გამოვყოფდი ართანულ ვარიანტებს – ანდრო სიმაშვილისა და მისი ბიძის – აბრია სიმაშვილის ნამღერ ნიმუშებს. ახალ სიმღერებს, ძირითადად, მე ვასწავლი ანსამბლის წევრებს, თუმცა, ჩანაწერების გარჩევის პროცესში, ყველა წევრი აქტიურად მონაწილეობს. უკვე შემდგომ ეტაპზე, ვცდილობ, იმპროვიზაციის კუთხით, ანსამბლის წევრები არ შევზღუდო.

ს.კ. – რამდენად აქტიურ შემოქმედებით ცხოვრებას ეწევა ანსამბლი „მზეშინა“?

ე.ყ. – „მზეშინა“ ქვეყნის ფარგლებში საკმაოდ აქტიურ შემოქმედებით ცხოვრებას ეწევა. აქტიურად არის ჩართული თელავის მუნიციპალიტეტის ღონისძიებებში, მონაწილეობს სხვადასხვა სახის კონცერტებსა და ფესტივალებში. ამავე დროს, ატარებს ექსპედიციებს კახეთში და უშუალოდ ეთნოფორებისგან სწავლობს ხალხურ სიმღერებს. „მზეშინას“ გამოცემული აქვს ერთი აუდიოალბომი, რომელშიც შესულია ქართლ-კახური და თუშური სიმღერები. რამდენიმე მათგანი სანოტო ჩანაწერიდან არის აღდგენილი, ზოგიერთი კი ეთნოფორებისგან გვაქვს ნასწავლი. ანსამბლი ფოლკლორის ეროვნული ფესტივალისა და ქართველ ქალთა ტრადიციული მუსიკის ფესტივალ „ნანინას“ აქტიური მონაწილეა, გადაღებულია აჭარის ტელევიზიის გადაცემაში „ეთნოფორი“. სულ ახლახანს, მონაწილეობა მივიღეთ ტელეპროექტ „ხალხურის“ მეორე სეზონში.

ს.კ. – რა გეგმები გაქვთ უახლოეს მომავალში?

ე.ყ. – ჩვენი უმთავრესი მიზანი, რა თქმა უნდა კახური სიმღერების აღდგენა-პოპულარიზებაა. სამომავლოდაც აუცილებლად გავაგრძელებთ ამ კუთხით მუშაობას. 2026 წელს ვაპირებთ ქართველ ქალთა ტრადიციული მუსიკის მეოთხე ფესტივალ „ნანინაში“ მონაწილეობას. უახლოეს მომავალში ჩვენს მსმენელებს სოლო კონცერტსაც შევთავაზებთ.

ს.კ. – წარმატებებს გისურვებთ!

ინტერვიუ ჩაიწერა სოფიკო კოტრიკაძემ

პოდკასტი „წინაპართა ხმები“: ქალთა ქართული სიმღერის არქივი

„წინაპართა ხმები“ („Voices of the Ancestors“) არის პოდკასტი, რომელიც მიზნად ისახავს ქართველი ქალ მომღერალთა მრავალხმიანობის პოპულარიზაციას. ესაა პროექტი, რომელიც აერთიანებს ისტორიასა და სიმღერას მზარდ ციფრულ არქივში.

პოდკასტს უძღვებიან **ჰოლი ტეილორ-ზანცი** და **სიუზან თომფსონი**. ისინი მსმენელს სთავაზობენ საქართველოს ვოკალურ სივრცეში მოგზაურობას – შეხვედრას ქალებთან, რომლებიც მღერიან და ინარჩუნებენ ფოლკლორულ ტრადიციებს, როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ. ყოველი ეპიზოდი მოიცავს სტუმართან ინტერვიუს, სიმღერების ცოცხალ ან საარქივო ჩანაწერებს, ასევე საუბარს ისტორიაზე, კულტურაზე, მუსიკალურ პრაქტიკასა და ქალ მომღერალთა გამოცდილებაზე. ვებგვერდზე ეპიზოდებს თან ახლავს ტრანსკრიპციები და რესურსების ბმულები. 24 ეპიზოდში პოდკასტმა უმასპინძლა როგორც ქართველ, ისე არაქართველ ქალებს, რომელთა ხმებმა და ისტორიებმა უდაოდ გაამდიდრა ჩვენი არქივი.



ქართველ სტუმრებს შორის არიან: **მაკა ხარბიანი** – ეთნომუსიკოლოგი და შემოქმედებითი ჯგუფ „ნანინას“ დირექტორი, რომელიც მოგვითხრობს, როგორ აგრძელებენ ქართველი ქალების ხმები ქვეყნის მუსიკალური სულის ფორმირებას; **დეზი ჩამგელიანები** (ანა, მადონა, ეკა) მესტიის მუნიციპალიტეტის სოფელ ლახუშდიდან (სვანეთი) – ისინი გვიზიარებენ სოფლის ტრადიციებს, ადგილობრივ მითებს, სიმღერას, ცეკვას, გლოვას და გვიყვებიან, როგორ ცოცხლდება წინაპართა მეხსიერება *მომღერალი სოფლის რიტუალებში*; **ნინო რაზმაძე** – ეთნომუსიკოლოგი და ქართული ხალხური საკრავების სპეციალისტი, რომელიც მსმენელს აცნობს ჩანგს, ჭუნირს, ჩონგურს და სხვა საკრავებს, ოსტატთა საველე ჩანაწერებით; **თამარ ბუაძე** – გუნდის დირიჟორი და პედაგოგი, რომელიც საუბრობს თავის მეგრულ ფესვებზე, ახალგაზრდულ და ქალთა გუნდებთან (მაგ. „თუთარჩელა“) მუშაობაზე და ლაზური რეპერტუარის აღმოჩენით გამოწვეულ სიხარულზე; **ნინო ნანეიშვილი** – ანსამბლ „იალონის“ ხელმძღვანელი, რომელიც განიხილავს სამკურნალო სიმღერებს და ფერხულების უძველეს სიმბოლიკას.

ამ საუბრებში გამოიკვეთა საერთო თემები:

- **გადაცემისა და მეხსიერების საკითხი:** როგორ გადაეცემა სიმღერები თაობიდან თაობას ან სივრცით დისტანციაზე და როგორ აყალიბებს ინდივიდუალური მეხსიერება სიმღერის ახალ ვერსიებს.

- **რიტუალი, მითოლოგია, იდენტობა:** ფოლკლორის, სულიერი პრაქტიკის, ადგილობრივი მითებისა (მაგ. სვანური ლეგენდები) და სიმღერების გადაკვეთა.

- **საკრავებისა და ხმის ურთიერთობა:** როგორ ერთიანდება ჩონგური, ჭუნირი და ჩანგი მრავალხმიანობასთან და როგორ ამდიდრებს საველე ჩანაწერები პრაქტიკას.

• ქალთა მუსიკალური ავტონომია და საზღვრების გადალახვა: როგორ გაუმკლავდნენ ქალი მომღერლები ოფიციალურ ინსტიტუციებს, მამაკაცებით დომინირებულ სტრუქტურებს და ცვალებად სასცენო გარემოს.

„წინაპართა ხმები“ ფუნქციონირებს, როგორც ცოცხალი რესურსი და არქივი: მსმენელები,



მკვლევრები, მომღერლები და სტუდენტები მას კვლავ და კვლავ უბრუნდებიან, როგორც ინტერვიუების, მუსიკალური მაგალითებისა და საცნობარო ბმულების არქივს. საძიებელი ტრანსკრიპციებისა და რესურსების გვერდების წყალობით, ის გაცილებით სცდება აუდიო ფორმატის ჩარჩოებს, თუმცა, წამყვანები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ პროექტი ჯერ სრულყოფილი არ არის. ბევრი ქალი მომღერალი ჯერ კიდევ ჩასაწერია; ბევრი რეგიონი და რეპერტუარი

ჯერ არ არის წარმოდგენილი. ყოველი ეპიზოდი ერთი კვანძია დიდი ამბების ქსელში. წამყვანთა ხედვით, პოდეკასტი მოუწოდებს მსმენელს, მკვლევარსა და მომღერალს, განაგრძოს მოსმენა, კვლევა და თანაშრომლობა, რათა მეტი ხმა შეერწყას ამ გუნდს.

მსმენელთა შეფასებები:

• „ინტიმური, ამაღელვებელი, შთამაგონებელი და მშვენიერი; ძალიან სასიამოვნო დასაწყისი დანარჩენი სერიებისთვის. ჩვენ გვესმის ამ ქალების გულების...“

• „ძალიან საინტერესო პოდეკასტია, წარმოგვიდგენს საქართველოს ულამაზეს ხმებს, ისტორიებსა და სიმღერებს... დამალული მარგალიტი მსოფლიოში.“

• „წინაპართა ხმები“ ქართველ მომღერლებს საშუალებას აძლევს, გაგვიზიარონ თავიანთი ცხოვრება... ნამდვილად ვგრძნობ, რომ ვარ ქართველთა ოჯახის ნაწილი დიდ ბრიტანეთში...“

ეს შეფასებები ადასტურებს პოდეკასტის რესურსს, შექმნას გლობალური მუსიკალური საზოგადოება, ემოციურად აამოძრავოს მსმენელი და გააღრმავოს ცოდნა ხელმისაწვდომი ფორმით.


„წინაპართა ხმები“ იშვიათ შესაძლებლობას აძლევს მსმენელს, გაეცნოს ქალთა გამოცდილებას ქართულ მრავალხმიან ტრადიციაში: არა აბსტრაქციის გზით, არამედ ნანახი ისტორიებით, სიმღერის ფრაგმენტებით... ეს ერთდროულად არის აუდიომოგზაურობა, კვლევითი ინსტრუმენტი და მოწოდება ახალი აღმოჩენებისკენ.

ვიმედოვნებთ, რომ თქვენი ბიულეტენის აუდიტორია მოისმენს, გააზიარებს და შესაძლოა ახალი ხმებიც შემოიტანოს ამ მზარდ არქივში.

პოდეკასტის ბმული: www.voicesoftheancestors.co.uk

სიუზან თომფსონი და ჰოლი ტეილორ-ზანცი

პოდეკასტის წამყვანები



მ. ჯ. მ. მ. მ.

გალობა

გალობა სულის საოხი, სულის „საცხონებელი“ იყო და არა ხორციელი სიამოვნება-დატკობა. დროთა ვითარებაში გალობამ სულიერ-საიქიო მნიშვნელობა ნაწილობრივ დაკარგა და ხორციელი სიამოვნების სახე მიიღო. იმ ეკლესიაში, საცა კარგი მგალობლები იყვნენ, ბევრი გალობის მოსასმენად უფრო მიდიოდა, ვიდრე სალოცავად... 1890 წლიდან, როცა გათვითცნობიერებულმა ხალხმა ხუცესსა და ეკლესიას ზურგი აქცია, ხუცეები მლოცავთა მოზიდვას გალობით ლამობდნენ, მგალობლები დაიქირავეს და ამით მორწმუნენი თუ ვერ მიიმატეს, თვალის ასახვევ ეფექტს მაინც მიაღწიეს – ეკლესია გალობის მოყვარული ხალხით ივსებოდა. ზოგიერთი გალობა, მართლაც, ისე საამო მოსასმენი იყო, რომ ხელოვანი მუსიკოსის ნაწარმოებს თუ არ აჯობებდა, არც კი ჩამოუვარდებოდა. ამიტომაც, ალბათ, რომ ასეთნაირმა გალობამ ხალხური სახე მიიღო. ლხინისა და დროს ტარების დროს გალობდნენ და პირჯვრის წერის მაგიერ სავსე ჭიქას ან

ყანწს ცლიდნენ. კარგი გალობა იყო მადის აღმძვრელი, სახალისო და გასართობი, დროსა და გარემოებას შეგუებული და მათი დამამშვენებელი. მაგალითად, ჯვრისწერის დროს, როცა ნეფედედოფალს გვირგვინით თავზე, ხუცესი ანალოგიის გარშემო ჩამოატარებდა, მგალობლები გალობდნენ: „ისაია მხიარულ იყავ, ქალწულმან მიუდგა და შვა ძე ემანუილ“... სიტყვები და, მეტადრე გალობის კილო, იყო ვნების აღმძვრელი სიცოცხლის, სიამოვნებისა და გამრავლების ხალისიანი ჰიმნი. სულ სხვა იყო წესის (ანდერძის) აგების – ცხედრის უკანასკნელი გამოთხოვების – „სულთათანა განუსვენე“... მსმენელს სევდა ეუფლებოდა, საგალობელი „წუთისოფლის სტუმრობის“ ხანმოკლეობას აგრძნობინებდა და თვალს ცრემლით უვსებდა.

მიცვალებულის დამარხვის დღეს ტრაპეზი (პურის ჭამა) ქორწილს არ ჩამოუვარდებოდა, მეტადრე თუ მიცვალებულს პატივისმცემელი ჭირისუფალი რჩებოდა. ყველა ჭიქას შესაფერისი გალობა მოჰყვებოდა. მრავალჟამიერის მაგიერ „საუკუნოთ იყოს ხსენება მისი!“... სამჯერ გალობით იტყოდნენ: არ დათვრებოდნენ, მაგრამ კარგა ლამაზად შეჭიკჭიკდებოდნენ. გალობა ხალხს ძალიან უყვარდა. ზოგჯერ ყველა ეკლესიას თავისი მგალობელი (სამი კაცი სჭირდებოდა) არ ჰყავდა და ეკლესიის დღეობაზე მას მეორე სოფლიდან საგანგებოდ იწვევდნენ. ისეთი ეკლესიაც იყო, საცა გალობა ორპირად ითქმოდა. გალობის მცოდნეთა უმეტესობას თავადაზნაურები და მღვდლის ოჯახის წევრები შეადგენდნენ. გალობის შესწავლას, გარდა ბუნებრივი ნიჭისა, წერა-კითხვის ცოდნა, დიდი დრო და მოცალეობა სჭირდებოდა. ყველა ამისათვის კი მაშინდელ გლეხს არ ეცალა,

ამიტომ მაღლობელი გლეხი იშვიათი იყო, და თუ იყო, მას გააზატებულს, ნახევრად აზნაურს ეძახდნენ, სხვებთან შედარებით იგი უკეთეს პირობებში იმყოფებოდა.

გალობის (ზარის) მასწავლებელს გასამრჯელო ეძლეოდა. ზოგიერთ თავადს ეზოში საკუთარი კარის ეკლესია ჰქონდა და კარის მღვდელი ჰყავდა, მაღლობლები კი თვით თავადები (ზოგჯერ ქალებიც) იყვნენ. ეს თავადები შერჩეულ ახალგაზრდებს გალობას ასწავლიდნენ – სამაგიეროდ, სწავლის გათავებამდე 6-12 თვეს ხელზე იმსახურებდნენ.

საქართველოს სხვადასხვა კუთხესთან შედარებით, გალობა ყველაზე მეტად გურიაში გავრცელდა. ბევრი პროფესიონალი მაღლობელი იყო, რომლის საარსებო წყაროს გალობის სწავლება შეადგენდა. უმეტესობა იმერეთსა და სამეგრელოში მიდიოდა და იქ ასწავლიდა. ზოგიერთისათვის გალობა ყველაფერი იყო. გურიაში ანეკდოტიც კი შეთხზეს ერთ-ერთ ცნობილ მაღლობელ მაქსიმე წეროძეზე. ერთხელ, თურმე, მაქსიმე სასამართლოში დაუბარებიათ მოწმედ. მოსამართლე ეკითხება: – მაქსიმე, შენ რას იტყვი? – შენ თუ დაიწყებ, მე ბანს გეტყვი! უპასუხია მაქსიმეს.

მაღლობელი, მოზარე და მომლხენი უნდა ყოფილიყო ზრდილი, დარბაისელი, კარგი სიტყვა-პასუხის, კარგად ჩაცმულ-დახურული, ნაზად მჭამელი, ღვინო „სამწყურვალთ“ უნდა დაეღია, არ უნდა დამთვრალიყო. სუფრაზე ეძლეოდა უპირატესობა – რჩეულ ადგილას ჯდებოდა, ალავერდს არ ეტყოდნენ და ღვინოს თავის ნება-სურვილზე მიართმევდნენ. კარგ მაღლობელს, თუ იგი ამავე დროს მასწავლებელიც იყო, დიდად აფასებდნენ. ყველას უყვარდა, პატივს სცემდა და, საერთოდ, საზოგადო მოღვაწედ თვლიდნენ.

1932 წელს გარდაიცვალნენ ცნობილი მაღლობელ-მომლხენ-მომღერალნი (ჩონგურზე დამკვრელებიც): ნესტორ კონტრიძე, სამოელ ჩავლეშვილი და გიორგი ბაბილოძე. გარდაცვალების გამო საერთო მწუხარება-დანაკლისი მათმა მოწაფემ, ახალგაზრდა მომღერალ-მასწავლებელმა, არტემ ერქომაიშვილმა საკუთარი ლექსით გამოხატა და ეს ლექსი სიმღერად აქცია.

ამ გალობისებურ სიმღერას დღეს ხალისით მღერიან გურიაში.

ლილინი

ლილინი ერთპიროვნული იყო. ლილინებდნენ საკრავზე, ჩონგურზე ან ჭიანურზე, ან მარტოდ – მუშაობის ან მგზავრობის დროს. „ვეფხისტყაოსანს“ და „დავითიანს“ ლილინით კითხულობდნენ. ჩონგურის დამკვრელს არასოდეს სთხოვდნენ, დაამღერო, ეტყოდნენ, დააღილინო. დამღილინებელს დიდად აფასებდნენ: „ერთ ქალათ მარტუაი იგი ღირს, ის რომ ჩონგურზე დააღილინებსო“, „მისი დაღილინება მკვდარს გააცოცხლებსო“.

კრიმანჭული

კრიმანჭული ან კირკანტული სიმღერის ერთი წამყვანი ხმაა, მაგრამ როგორც ლილინი, ისე კრიმანჭულიც ზოგჯერ ერთპიროვნულია. მარტოდ დარჩენილი ახალგაზრდა კრიმანჭულობდა ტყეში, ყანაში და გზაში. კრიმანჭულს იწვევდა მარტოობა ან შიში. კრიმანჭულობდა – შიში უქრებოდა, არ მოიწყენდა, არ ჩამოეძინებოდა. კრიმანჭული უფრო ხშირად ჭაბუკების საქმე იყო. ღამით მოზარდს სადმე წასვლას რომ დაავალებდნენ, ეტყოდნენ: „წეიკრიმანჭულე და ისე წადიო“. კრიმანჭულობდა ძროხისა და თხის მწყემსი ახალგაზრდა. თუ მას მოპირდაპირე მხრიდან მეორე ტოლი გამოეკრიმანჭულებოდა, ეს მოგაგონებდა ორი მწყემსის სოინარით ან სალამურით

შეჯიბრებას. კრიმანჭული დიდად სასიამოვნო მოსასმენი იყო, მეტადრე, მყუდრო მთვარიან ღამეში. ზოგჯერ კრიმანჭული შეყვარებულთა საპაემანო ნიშანიც კი იყო.

სიმღერა

გურული სიმღერა, რომელიც შეგუებული, შეხამებული, მისადაგებული, შეხმატკბილებული იყო შრომა-გარჯილობასთან, აადვილებდა, არაქაფებდა და მეტ ნაყოფიერ-ბარაქიანს ხდიდა შრომას, აძლევდა მას შინაარსსა და ხალისს. ზარმაცს აბეჯითებდა, ლაჩარს ამხნევებდა, დაღლილს ძალ-ღონეს მატებდა, ხორციელად ამხნევებდა, სულიერად აკეთილშობილებდა. სიმღერას სწავლობდნენ ყურის დაგდებით ბუნებაში მოქმედების დროს. საყურადღებოა ის გარემოება, რომ სიმღერა გლეხობის კუთვნილება იყო და არა „ბრწყინვალე“ წოდებისა. გალობა და მოლხენა კი თავად-აზნაურობის საქმე გახლდათ და ძალიან ბევრი იშვიათი მაგალობელ-მომლხენის ჩამოთვლა შეიძლებოდა მათი წრიდან. სამაგიეროდ, ვერავინ დაასახელებს ამ ცნობილ, და, მართლაც, ხელოვან მაგალობელ-მომლხენებიდან ვინმე ყოფილიყო კარგი მომღერალი. თავადი დათა გუგუნავა, გურიის გარეთაც ცნობილი, სახელგანთქმული მაგალობელი-მომლხენი და ცნობილი მასწავლებელი, ერთ თავის ლექსში თავის თავს „ლხინის დედას“ უწოდებს. მისი ყოფილი მოწაფეები ადასტურებენ, რომ, სიმღერა ამ თავადს, სხვებთან შედარებით, არ სცოდნია და, ეს არც გასაკვირია, რადგან სიმღერა უმთავრესად თან სდევს შრომა-გარჯილობას, რასაც ეს წოდება თავიდანვე არ მისდევდა.

მასალა აღებულია აპოლონ წულაძის წიგნიდან

ეთნოგრაფიული გურია

თბილისი. 1971

ერთი ტრადიციული რიტუალის შესახებ

ბატონების ტრადიცია მესხეთში

ცნობილია, რომ მესხურ ტრადიციაში, უშუალოდ, ყვავილ-ბატონებთან დაკავშირებული ცნობები მწირია. კიდევ უფრო ნაკლებია მუსიკალური ნიმუშები: მოგვეპოვება მხოლოდ ორი საექსპედიციო აუდიომაგალითი შალვა მშველიძისა და ვალერიან მაღრაძის საარქივო ჩანაწერებიდან და ერთი ნიმუში – ვერბალური მასალის სახით – ვ. მაღრაძის არქივიდან. ამ ჩამონათვალში ვგულისხმობთ მხოლოდ ისეთ ნიმუშებს, სადაც სიტყვა „ბატონები“ ფიგურირებს და ცალსახად სამკურნალო დანიშნულებისაა.

დღეისათვის, ზეპირი ცოდნა ბატონების შესახებ მესხეთში თითქმის დაკარგულია. თუკი სიღრმისეულად ჩავეძიებით არსებულ მცირე, მაგრამ საგულისხმო მონაცემებს, ცხადი გახდება, რომ ყვავილ-ბატონების მესხური გააზრება საერთო ქართულ ტრადიციას ეხმიანება, როგორც რიტუალებში, ისე მუსიკალურ თუ სასიმღერო-ვერბალურ ნაწილში. ინფექციური დაავადების მიმდინარეობის ეტაპების შესაბამისად, ეთნოგრაფიულ ტრადიციაშიც იკვეთება სამი ეტაპი: ბატონების მოზრძანება-დახვედრა, დაამება-დატკობა და გაცილება-გასტუმრება.

საქართველს სხვა კუთხეების მსგავსად, მესხეთშიც, სახადებს ყვავილ-ბატონებით მოიხსენიებდნენ. მათ ღიმილით, ტკბილი სიტყვითა და მოპატიჟების ნაირგვარი რიტუალებით ხვდებოდნენ. ავადმყოფის ოთახში უნდა ყოფილიყო: ტკბილეულით გაწყობილი ტაბლა, იისა და ვარდის სურნელი, დამტკბარი წყალი, კაკლის ბაზმა (ავადმყოფის გარშემოვლისთვის) და სასიამოვნო, მშვიდი გარემო. საინტერესოა, რომ მესხეთში ბატონებისთვის გაწყობილ ტაბლაზე ფიგურირებს შეღებილი კვერცხები, რომელთა არსებობა იმერულ ტრადიციაშიც გვხვდება.

იყო აკრძალვებიც, რათა „ბატონები არ გაჯავრებულიყვნენ“. კვამლს, ზედმეტ ხმაურ ან უსიამოვნო სუნს რომ არ გაელიზიანებინა ავადმყოფი (ანუ, მასთან მობრძანებული ბატონები), ერიდებოდნენ შინ საჭმლის კეთებას, საქმიანობას, ურთიერთობის დამაბვას და ხმამაღალ საუბარს.

მესხურ ბატონების ტრადიციაში მნიშვნელოვანი დეტალია „უცეცხლო თაფლი“. ადრე თაფლს ცეცხლზე ადნობდნენ და ისე აცალკევებდნენ სანთელ-ფიჭისაგან. „უცეცხლო თაფლი“ კი გაუხურებლად გამოღებული თაფლი გახლდათ, რომელიც განსაკუთრებული სამკურნალო თვისებებით გამოირჩეოდა. ერთ-ერთი შელოცვის ტექსტში ნათქვამია, რომ უცეცხლო თაფლი არის წამალი და შემდგომ მიმართვაა ბატონებისადმი: „დატკბით, დაშაქრით ბატონო“.

ზოგადქართული მუსიკალური ტრადიციის თანახმად, მესხეთშიც **ბატონებს ატკბობდნენ საკრავებზე დაკვრითა და იავნანის მღერით.**

მესხეთში *იავნანას* ან *ნანას* სახელით მოიხსენიებენ სხვადასხვა ჟანრის ნიმუშებს: როგორც **დასაძინებელ** (ანუ აკვნის) სიმღერებს, ისე **სამკურნალო** ან **საკულტო-რიტუალურ** ნიმუშებსაც.

საინტერესოა ჯგავხეთში დაფიქსირებული, მუხის კულტთან დაკავშირებული რიტუალი, რომელიც გულისხმობს ახალფეხადგმული ბავშვის ცეკვა-ცეკვით შემოტარების რიტუალს მუხის გარშემო. შემონახულია ამ რიტუალის თანმხლები სასიმღერო ტექსტი, რომლის რეფრენია „**მამლი მუხასა**“, ხოლო სიმღერის სახელწოდებად ეთნოგორის მიერ დასახელებულია „**ნანა**“. ჩვენი აზრით, ეს შემთხვევითი არ უნდა იყოს და გვიმყარებს აზრს, რომ მათი თავდაპირველი დანიშნულება იყო მიმართვა-განდიდება-ვედრება უზენაესი ძალებისადმი.

როგორც ცნობილია, დასავლეთ საქართველოში, სახადის დროს, სპეციალურად იწვევდნენ ე.წ. „მეზოდიშეს“, რომელსაც **ბატონების მამიდის** განსახიერებად თვლიდნენ. ბატონების გართობისა და დატკბობის რიტუალებში მას, როგორც ამ საქმის საუკეთესო მცოდნეს, მთავარი როლი ეკისრებოდა. მესხურ საბატონე ნიმუშების ტექსტებში ნახსენებია ბატონების დედაც. მაკალათიას ცნობით, ბატონების დედად მიჩნეულია **წმ. ბარბარე**, რომელსაც, ავადმყოფობის გართულების შემთხვევაში, შეუთქვამდნენ შესაწირს.

მესხეთში სალოცავთან ორჯერ მიდიოდნენ: თავდაპირველად – გამოჯანმრთელების სათხოვნელად, შესავედრებლად, ხოლო მეორედ – მადლობის სათქმელად და შეპირებული პირობების აღსასრულებლად. მესხეთში შემორჩენილი გვაქვს სავედრებელი და სამადლობელი რიტუალები, რომლის დროსაც, სავარაუდოდ, სრულდებოდა შესაბამისი სავედრებელ-სადიდებელი იავნანები.

მაკალათიას აღწერით, თუ ავადმყოფის მდგომარეობა დამძიმდებოდა, დაუნთებდნენ კაკლის ბაზმას და ავადმყოფს მუხლის მოყრით სამჯერ შემოუვლიდნენ. სავედრებელ და სადიდებელ

რიტუალურ ქმედებებში **თავშემოვლა**, შეგვიძლია, ქორეოგრაფიულ-საფერხულო ელემენტად მივიჩნიოთ. ავადმყოფობის დამძიმებისას, მესხეთში კიდევ ერთი, საინტერესო რიტუალი სრულდებოდა, რომელსაც **„დიდებაზე დავლა“** ეწოდებოდა. სერგი მაკალათიას ცნობით, „ორი დედაკაცი კარიკარ დაივლიდა და შეაგროვებდა სანოვავებს: პურს, ფქვილს, კვერცხს, ყველს, სანთელს და ა.შ., ვინც რას გაიმეტებდა. შემდეგ ამას გაყიდდნენ და შემოსული ფულით იყიდდნენ თეთრ სამოსს ავადმყოფისთვის; ამ სამოსით წაიყვანდნენ სალოცავთან და ლოცვა-ვედრების შემდეგ სამოსს იქვე ტოვებდნენ“.

ბატონებთან დაკავშირებით, მესხეთში იცოდნენ **ფითილის დახვევაც** – დამძიმებულები ხატის გამორკვევის რიტუალი – რომელიც აღმოსავლეთის მთაშიც სცოდნიათ. თეთრი მატყლის ან ბამბის რამდენიმე ფითილას სხვადასხვა ხატის სახელდებით ახვევდნენ ხელტარზე. წყლით სავსე ჯამზე დადების შემდეგ, რომელი ფითილაც თავისით ჩამოვარდებოდა, სწორედ ის ხატი ითვლებოდა ავადმყოფობის მიზეზად და მას სწირავდნენ ძღვენს.

ბატონების გასაცილებლად **აცხოზდნენ „კოკორა“ პურს** – რბილს, სურნელოვანს, რძეში ან შრატში მოზელებს, ჩვეულებრივ ფოდოლა პურზე უფრო მცირეს და ფუმფულას. მას გარეთ კიდებდნენ, ბატონების პატივისცემისა და შემორიგების ნიშნად. კოკორა ითვლებოდა განსაკუთრებულ ძღვნად. მას პირს არავინ აკარებდა – „ვაი თუ ბატონი ამიჯანყდესო“.

სნეულის ოთახში მორთულ-მოკაზმული **„ბატონების ხე“** იდგმებოდა. ზოგადად, მესხურ ტრადიციაში, ხის სიმბოლიკა ნაირგვარი გამოვლინებით ხასიათდებოდა. მაგალითად, ძველად სამცხეშიც და ჯავახეთშიც ბატონების გაცილებისას სცოდნიათ ხეზე „იავნანის“ დამღერება, და ავადმყოფის ხესთან ჩახუტება. სწამდათ, რომ ცოცხალ, ჯანსაღ ხეს ავადმყოფობის შეწოვის უნარი გააჩნდა. ბავშვს უმღეროდნენ იავნანას, მერე კი **ბავშვი შემოეხვეოდა ხეს** და განიკურნებოდა.

ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ ბატონების მესხურმა ტრადიციამ შემოგვინახა ფასდაუდებელი ინფორმაცია საქართველოში უძველესი კულტურული შრეების შესახებ და მას კუთვნილი ადგილი შეგვიძლია მივუჩინოთ ქართული მემკვიდრეობის უნიკალურ საგანძურში.

ვიქტორია სამსონაძე

ეთნომუსიკოლოგი

გთავაზობთ მესხურ საწესო-რიტუალურ სიმღერას „ბატონების მამიდასა“

გაშიფრულია ეთნომუსიკოლოგ ვიქტორია სამსონაძის მიერ შალვა მშველიძის საექსპედიციო

მასალიდან. ჩაწერილია ახალციხის რაიონის სოფელ კოთელიაში,

ეთნოფორ ტეკლე ლაზარაშვილისაგან, 1932 წელს.

სიმღერა აღადგინა ეთნომუსიკოლოგთა შემოქმედებითა ჯგუფმა „ნანინამ“, პროექტის „აღდგენილი სიმღერა“ ფარგლებში. ვიდეო შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე:

<https://url-shortener.me/2S7M>

ბატონების მამიდასა Batonebis Mamidasa

I Soloist




ბა-ტო - ნე-ბის მა-მი - და-სა ქვეშ გა - ვუ-შლი ხა-ლი - ჩა - სა
ba-t'o - ne-bis ma-mi - da-sa kvesh ga - vu-shli kha-li - cha-sa

I Soloist



წავ-ლენ და და - ბრძან-დე - ბი - ან ხა-ვერ - დი - ვი - თა
ts'av-len da da - brdzan-de - bi-an kha-ver - di-vi - ta

Bass



ა
a

I Soloist



შენ ი - ხა-რე შენ ი - დი-დე ჩვენც გვა - ხა - რე შენ ი - დი-დე
shen i - kha-re shen i - di-de chvents gva - kha-re shen i - di-de

II Soloist



შენ ი - ხა-რე შენ ი - დი-დე ჩვენც გვა - ხა - რე შენ ი - დი-დე
shen i - kha-re shen i - di-de chvents gva - kha-re shen i - di-de

Bass



ა
a

II Soloist



გე-ნა - ცვა-ლე - ა ბა-ტო - ნე - ბო ი-ყავით გა - ხა რე-ბუ - ლე-ბი
ge-na - tsva-le - a ba-t'o - ne-bo i-ga-vit ga-kha re-bu - le-bi

Bass



ა
a

I Soloist

ნ - ავ ნა - ნი - ნა - ო ვარ - დო ნა - ნო ნ - ა - ვ ნა - ნი
i - av na - ni - na - o var - do na - no i - a - v na - ni

II Soloist

Bass

ა ა

I Soloist

II Soloist

ნ - ავ ნა - ნი - ნა - ო ვარ - დო ნა - ნო ნ - ა - ვ ნა - ნი
i - av na - ni - na - o var - do na - no i - a - v na - ni

Bass

ა ა

I Soloist

ბა - ტო - ნე - ბის დე - და - სა - ო ან - წლის ა - კვა - ნი უ - დგი - ა
ba - t'o - ne - bis de - da - sa - o an - ts'lis a - k'va - ni u - dgi - a

II Soloist

Bass

ა ა

I Soloist

შიგ უ - წევს შვი - ლი ბა - ტო - ნი ნ - ა - ვ ნა - ნი - ნა - ო
shig u - ts'evs shvi - li ba - t'o - ni i - a - v na - ni - na - o

Bass

ა ა ა

I Soloist

II Soloist

Bass

შენ ი - ხა - რე
shen i - kha - re

შენ ი - დი - დე
shen i - di - de

ჩვენც გვა - ხა - რე
chvents gva - kha - re

შენ ი - დი - დე
shen i - di - de

tr

ა
a

ა
a

II Soloist

Bass

გე - ნა - ცვა - ლე - ა
ge - na - tsva - le - a

ბა - ტო - ნე - ბო
ba - t'o - ne - bo

ი - ყა - ვით გა - ხა -
i - qa - vit ga - kha -

რე - ბუ - ლე - ბი
re - bu - le - bi

ა
a

ა
a

I Soloist

II Soloist

Bass

ი - ავ ნა - ნი -
i - av na - ni -

ნა - ო
na - o

ვარ - დო ნა - ნო
var - do na - no

ი - ა - ვ ნა - ნი
i - a - v na - ni

ა
a

ა
a

ა
a

I Soloist

II Soloist

Bass

ი - ავ ნა - ნი -
i - av na - ni -

ნა - ო
na - o

ვარ - დო ნა - ნო
var - do na - no

ი - ა - ვ ნა - ნი
i - a - v na - ni

ა
a

ა
a

I Soloist

ნ - ავ ნა - ნი - ნა - ო ვარ - დო ნა - ნო ნ - ა - ვ ნა - ნი
i - av na - ni - na - o var - do na - no i - a - v na - ni

II Soloist

Bass

ა ა

I Soloist

ბა - ტო - ნე - ბის
ba - t'o - ne - bis

II Soloist

ნ - ავ ნა - ნი - ნა - ო ვარ - დო ნა - ნო ნ - ა - ვ ნა - ნი
i - av na - ni - na - o var - do na - no i - a - v na - ni

Bass

ა ა

I Soloist

მა - მი - და - სა ნ - ავ ნა - ნი - ნა - ო
ma - mi - da - sa i - av na - ni - na - o

II Soloist

ნ - ავ ნა - ნი - ნა - ო
i - av na - ni - na - o

Bass

ა ა

I Soloist

ნ - ავ ნა - ნი - ნა - ო ვარ - დო ნა - ნო
i - av na - ni - na - o var - do na - no

II Soloist

ვარ - დო ნა - ნო ნ - ა - ვ ნა - ნი
var - do na - no i - a - v na - ni

Bass

ა ა ა

I Soloist

ნ - ა - ვ ნა - ნი
i - a - v na - ni

II Soloist

ბა - ტო - ნე - ბის
ba - t'o - ne - bis

დე - და - სა - ო
de - da - sa - o

ნ - ავ ნა - ნი -
i - av na - ni -

ნა - ო.
na - o.

Bass

ბ
a

ბ
a

ბ
a

I Soloist

ნა - ო
na - o

ვარ - დო ნა - ნო
var - do na - no

ნ - ა - ვ ნა - ნი.
i - a - v na - ni.

II Soloist

ო
o

ო.
o.

Bass

ბ
a

ბ.
a.

ტექსტი - „ბატონების მამიდასა“

ბატონების მამიდასა ქვეშ გაუშული ხალიჩასა,
წავლენ და დაბრძანდებიან ხავერდითა.
შენ იხარე, შენ იდიდე, ჩვენც გვახარე, შენ იდიდე,
გენაცვალე ბატონებო, იყავით გახარებულები.
ბატონების დედასაო ანწლის აკვანი უდგია,
შიგ უწევს შვილი ბატონი იავნანინაო.

Lyrics (Transcription) - "Bat'onebis Mamidasa"

bat'onebis mamidasa kvesh gavushli khalichasa,
ts'avlen da dabrdzandebian khaverdivita.
shen ikhare, shen idide, chvents gvakhare, shen idide,
genatsvale bat'onebo, iqavit gakharebulebi.
bat'onebis dedasao ants'lis ak'vani udgia,
shig uts'evs shvili bat'oni iavnaninao.

Lyrics (Translation) - "Batonebi's Aunt"

I'll spread a carpet for the Batonebi's Aunt,
So the Batonebi may take their honored seat.
Rejoice, be exalted, bring us joy,
O Batonebi, may you be ever joyful.
The Batonebi's Mother has a cradle of alder wood,
Inside lies a child stricken with nobility.

რედაქტორი:

მაკა ხარბიანი

ეთნომუსიკოლოგი, მუსიკოლოგიის დოქტორი, ტმკსც-ის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი

მთარგმნელი:

მაია კაჭკაჭიშვილი

კომპიუტერული უზრუნველყოფა:

მაკა ხარბიანი

ლევან ვეშაპიძე

© ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრი, 2025

eISSN–1512 – 228X

ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია. თბილისი, 0108, გრიბოედოვის ქ. #8/10

ტელ. (+995 32) 2998953

E-mail: polyphony@conservatoire.edu.ge

www.polyphony.ge

www.symposium.polyphony.ge

ბიულეტენის შემდეგი ნომერი გამოვა 2026 წლის ივნისში